

24085504
242500049

ЧЭМО
23 ФЕВ 1924
Вход. № 1048

ОБЩЕСТВО
СОВЕТСКОЕ

ПРОСТАК



1924



მიხედ აღმაშვილი — კვაჭი კვაჭანტირაძე.

რიხაცი — ცხრა იანვარი.

ირადიონ სონდული — პეროსტრატოსი.

მაიაკოვსკი — ნაწვეტი პოემიდან „ღრუბელი შარვალში“.

პ. ქ — ძე — ანრი ბარბიუსი.

ანრი ბარბიუსი — ცეცხლი.

ი. ხონელი — ცეცხლის რკალებში.

ი. ხომერიკი — ქარში.

შ. — აარლ ლიბკნეხტი.

ბუზარინი — ლიბკნეხტი და ახალგაზრდობა.

პ. ქ. — პროლეტარული მხატვრები: სტეინლენი და ეან-ფრანსუა ლილე.

ი. ხინველი — უცხოეთის კინო წარმოება

ფიგარო — გ. ხენუაშვილის იუბილე.

ვ. ბ. — სახელმწიფო სათვალრო ინსტიტუტი.

ხელოვნების ქრონიკა, ნარევი, ბიბლიოგრაფია, კარიკა-

ტურები და ილუსტრაცია.

დასაწყისად

1924 წ-ლ და გამოვიდა

კედლის კალენდარი და მოძრავი კალენდარი

გამოცემა სსხალმწიფო გამომცემლობის

შედგენილი პ. ი. ზუმბაძისა.

კალენდარში შეტანილია: საგეგნიერო საპოვნომო საგაურნაო საგხატვრო

და სალიტერატურო გასაღები

კალენდარი სეფთად და მხატვრულადან გამოცემული.

ფასი ერთი მან. ჩიკვ.

მოკითხეთ ყველა კიოსკსა და წიგნის მაღაზიაში

საწყოში სსხალმწიფო გამომცემლობა ლურის გული. ქ. № 5.

1924



დ რ თ შ ს

"კომო"
23.12.1924
Вход. № 1068

ოკციონიშული სახმხატვრო-სალიტერატორი შურნალი.

განცხადების ტარიო:		ხელის მოწერა:		მისამართი:	
ერთი გვურდი . . . 100 მ. რურ.	საზი თავით . . . 1 მან. 20 ჰ. რურ.	რედაქციის და კონტორის			
ნასჯარა გვურდი . . 50 მ. ..	ერთი თავით . . . 40 ჰ. ..	რუსთაველის პრ. № 22.			
მუთსუდი გვურდი . 35 მ. ..	ცალკე წამართი ყველგან 20 ჰ. ..	მაილუძა სელის მორჭა დილის			
		9-3 საათამდე.			

№ 6

სამუშაბათი 15 იანვარი 1924 წ.

№ 6

კვაჭი კვაჭანსირაქე.

კვაჭის კვაჭობა.

VIII.

FSH

კვაჭის რომ ჯიბეში ფული გაუნდა, ცხოვრების კიბეზედ უკებ ათოლედ საფეხურით ასტა. თავში ახალ ეშმაკებ ჩაუსხდენ, გულში ცეცხლი უარესად გაუჩლიდა და აუჩრიალდა, მეგობარ-ნათესაებზე გაუშრაგლდენ, ცხოვრება და ეს ქვეყანაც უფრო გიშალა, გაიფურჩქნა, აყვავდა, განათდა, გატკბილდა და გაამდა. კვაჭიმ თავის ახალი ცხოვრება იმით დაიწყო, რომ ცვირისთვის ერთს უბედურ დღეს, თავის ბარგი-ბურხანა ილიის ქვეშ ამოიღო და ტფილისის ქუჩაზე გადასახლდა ვინმე რუსი დედაკაცის ვოლკოვის ბინაზე. ცვირი ტირილით დაედევნა გაფრენილ მამალს, მაგრამ კვაჭიმ შესაფერი გულის გამძლეობა და ხსიათის სიმტკიცე გამოიჩინა. მშვიდად და დინჯად უთხრა:

— ყური მივდე, ჩემო ცვირიკო, ყოლიფერს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. არ უნდა ახირდე და ატირდე, თვარა ბუღუდ გაიგებს, ქვეყანაც შეიტყობს და ორივეს თავი მოგვეჭრება. მე რა მიშავს, გამოუცდელი ახალგაზრდა ვარ, შენ შენს თავზე იფიქრე. ოცდახუთმეტე წლის დედაკაცი ხარ, ოჯახის პატრონი, გამოცდილი და დამჯდარი. სიკვდილამდის არ დაგივიწყებ სიყვითეს და სიყვარულს. ყოლიფერს მალე ერთი ათად გადაგიხდი. გულისყურს ნუ აწყევი, ქუთა მოიხმარე და ორიენი კმაყოფილი დაგჩიებთ. არხინება იყავი, ოთახი არ დაგი-ცლირდებოდა. ბესო ჯიქის ხომ იცნობ? კარგი ყმაწვლია განა? ხვალეე ვადმოვა იმ ოთახში. აღბათ ადვილია მო-რივდებით. ჩემ ასე: ქუთა და სიღინჯე. მოკითხვა ბუღუს. მშვიდობით, მამო ცვირი!

კვაჭის გული აუწყდა, ორიოდე ცრემლიც ჩამო-ავლო.

ცვირიმ გულიანად გამოიტირა თავის სიყვარული, მართლა გულის ყური უკუაგდო, კვაჭის რჩევას აყვდა და არც იანა. ორი დღის შემდეგ მან ბესო ჯიქისაკე ასე-სხა* სამი მანეთი და უთხრა:

— როცა გვექნება, დამიბრუნე. როცა, სარგებლითო? რა თქმა უნდა! აბა, უსარგებლოდ ფულს გავასესხებ! იყი-დე, ჩემო ბესიკო, რაც გინდა. ნუ მომერიდები, ბევრი არა მაქვს, ცოტას კი მოვიხივებ.


არც ბესო ჯიქისთვის იყო საჭირო ვაფრთხილება, რადგან „მორიდება“ მას კვაჭზე ნაკლებად ეხერხებოდა. ასე დაიშვიდა და ასე მალე ინუგეშა თავი ცვირი შოლიამ.

კვაჭიმ მშენიერი ოთახი დაიქირავა—დიდი, ნათე-ლი და ლბილის ავეჯით მორთული. ვოლკოვის ქვრის— მოხუცებულს, მშვიდს, უწყინარს და გულლია რუსის დე-დაკაცს—კვაჭი მოეწონა. გამოშტერებული, ყერუეტა და მორწმუნე მოხუცი თითქმის ყრუ იყო და ამ ქვეყანა ბე-ერი არაფერი ესმოდა, თითქმის ბრმა იყო და ძლიეს ჰხე-დავდა. ერთმანეთს ხელს არ უშლიდენ, თავზიანად ექცე-ოდენ, ტკბილად უღიმოდენ და დედაშვილურად ცხოვ-რობდენ.

მალე მოვიდა მერვე კლასელთა განკითხვის თვეც— დადა მათი. იმ წელს კვაჭი გიშნაზის ათავგრდა. და-ტრიალდენ კვაჭი და მისი მეგობრები. ეს იმ წელს მოხდა, როცა მოსწავლენი მასწავლებლებს კისერზე ასხდნენ და საითაც მოინდომებდენ, იქით გაირკვავდენ. გამოცდის საქმე ყველასთან ადვილად მობარგეს, რადგან იმ წელს უფრო მასწავლებლები იქერდენ გამოცდას მოსწავლეთა წინაშე, ამიტომ მასწავლებლები ლბლბნი, ქედმიხილბნი და მობრილბნი იყენენ, ვითარცა საჭურისი მრისხანე სულ-თანის ვალწინ. მხოლოდ ერთი ახირდა და გაკრება— ბერძნულის მასწავლებელი სირიადისი, რომელსაც არ სწამ-და არც ძალთა ურთიერთობაში მომხდარი ცვლილება, არც „გახახუბლი“. არც კომიტეტები. ბევრი იფიქრეს. ბოლოს კვაჭიმ სთქვა:

— სამი დღე მაცალეთ.

მესამე დღეს დილით სირიადისს წერბოში მოვიდა.





კუთხეში გამობატული იყო თავის ქალა, კუმბო, ხანჯალი და დამბაა. ყწირა:

„არც ერთი მერვე კლასის მოწაფე არ უნდა ჩაიჭრას. თუ თანახმა ხართ, დღეს, საღამოს რვა საათზე ბულვარზე დაგვენახეთ. თუ არ გამოჩნდით—აიბარგეთ და სამ დღეში ქუთაისს გამოეთხოვით, წინააღმდეგ შემთხვევაში გირჩევთ ეხლავე დაიშალოთ კუმბო.

ანარქისტ-სინდიკალისტ-სოციალისტების მთავარი კომიტეტი“.

თავმჯდომარე.
მიღვიანი.

ბეჰედლი.

კვაჭიმ მთელი საათი იარა ბულვარზე, მაგრამ სირიადისი არ გამოჩნდა. სამაგიეროდ მოვიდნენ ჯიქია, ჩხუბინიშვილი, ხეჩია და ჩალოძე.

— ამბავი?

მოკლედ მოსტერეს:

— ვბრძვივით. თვალთ ვადღევენთ, პოლიციაში მიდიოდა. იქამდის ვურტყით, სანამ არ დაიყვირა: „არავინ ჩაიჭრება, არავინ ჩაიჭრებაო!“ შევთანხმდით და მოვრიგდით.

სირიადისმა პირობა შეასრულა. გამოცდაზე მართლა არავინ ჩაჭრიალა.

ასე გაათავეს გიმნაზია და ასე მიიღეს დიპლომები კვაჭი კვაჭანტრაიამ და მისმა მეგობრებმა.

საიდღეგორდ კვაჭი სამტრედიოში წავიდა. ყველანი ალაპარაკა, დედ-მამა, ნათესავები და მოყვარე ვაახარა, მეტრეს თვლი დაუყენა, იქნურ ქალები ააქცემტა, მოაპრანტა, ვაყები დააღონა, ქმრები ააიჰვიანა და ისევე ქუთაისში დაბრუნდა. თან წამოიღო თავის მიმის სილიბისტროს დარიგება და გაფრთხილება:

— შევლო კვაჭი! ქვეყანა აირია. მეტერი ბეგერი გაშინდა. მიუც ბებრები. თუ საჭირო ვახდა, ყოლიფერს გავყიდა, მათხოვრობას დევიწყებ და გაუნათლებელს არ დატოვებ. ეხლა უდიპლომო კაცი თუნდ არ ყოფილა. აწოფობოდა ქე გიწოვე. გიმნაზია(კ) ვაგათავებთ, ორიოდ გროსო ეხლო მოგაწოდებ, მარა შენც უნდა ხელოვანდა, ავგრო, ჩოლიამ და ღვიჩიამ ისეთ ვაათავეს რუსეთში რაღაც უნდებიანსტი რომე სახლიდან ორი ფარაც არ მიუღიათ. არს იტყვი, შვილო კვაჭო?

კვაჭიმ სილიბისტროს პასუხად ხელში ასიანი ჩაუღლო და წამოვიდა. ასტყდა სილიბისტროს ოჯახში დიდი ვაკვირებდა, სინარული, ღუნენა, ვაბლენდა და თავის ქება: ცხრამეტე წლის კვაჭი რუსეთშიც თავის ხარჯით მიდიოდა და დედ-მამასაც ქომავს აძლევდა. შვილიც ასეთი უნდა!

იმ ხნიდან კვაჭი ჩაფიქრებულ დადიოდა, ცხვირს დაეგმილი ძაღლივით ათამაშებდა, პაერს მსუნდადა და რალაც ცნობებს აგროვებდა. ვოლკოვის ქერიც დაუმეგობრდა, „კონჩინკას“ ეთამაშებოდა, წერილ-წერილილ ავებდა, ზოგჯერ ეხლო მოგაწოდებ, ხაზინიდან პენსისა მოუტანდა, ავდარში სასყიდელს უყიდა, ვაგნეთს წაუთხიხავდა და ავ ხალხობა მფარველობას უწევდა, ვინაიდან იმ ხანებში ძალიან ვახშირდა ავგაკობა, შარი, შერი და მტრობა.

ერთხელ ქერიც წერილი მოვიდა. წერილის კუთხეში დახატული იყო კუმბო, თავის ქალა, ხანჯალი და დამბაჩა. ყწირა:

„სამ დღეში დაგვიმადეთ სამი ათასი მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეხლავე მესტკვეთით თქვენივის კუმბო. ანარქისტ-სინდიკალისტ—სოციალისტების მთავარი კომიტეტი“.

თავმჯდომარე.
მიღვიანი.

ბეჰედლი.

დაფეთებული ქერივი კვაჭის ეცა რჩევისა და დახმარებისთვის. ან ვისთან უნდა მისულყოფო უპატრონო მოხუცი, ვადმოკარგული სხვის ქვეყანაში? კვაჭი ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა და დაღონდა. ბოლოს უთხრა:

— როგორც დედას, ისე ველაპარაკებთ. ხმა, კრინტი არსად დასძრიათ, თორემ ქრისტე—ღმერთიც ვერ გიშველეთ. სასტიკი და ველრონი ხალხია. არც დედაცა ინდობენ, არც მოხუცს. ამ ერთ ვიკრაში ორი დედა-კაცი მოკლეს, ერთი მოხუცი ხელით დაახმენს და ერთიც რიონში ვადაადგეს. პოლიციაც დაშინებულია, ვარეთ თავი ვერავის ვამოუწყია. ხომ ჰხედავთ, ჩრტებსავით ჰხოცავენ; აი, ვაგუნში წინ ბაზარში თქვენ თვალწინაც მოუკლავთ ერთი პოლიციელი.

კვაჭიმ ზოგი მართალი სთქვა, ზოგიც წაუთვია. მართლა ასეთი ხელი იყო. უპატრონო ქერივაც იცოდა, რომ ქვეყანა უპატრონოდ იყო, ამიტომ თრთოდა, კანკალებდა და ჩურჩულით ემუდარებოდა კვაჭის დახმარებას და შუაკაცობას, თან ხატზე და სახარებაზე ფიქვლობდა, რომ ამ საიდუმლოებას სამაგნი ჩაიტანდა.

კვაჭი გერ დიდ უარზე იდგა. თვითონაც ეშინოდა ხიფათისა და ანარქისტ-სინდიკალისტებისა, რომენიც „არავის ინდობდენ და ყველას ჩიტებსავით ჰხოცავენ“. ბოლოს, როგორც იყო, მოღბა და მოტყდა, რადგან საწყალი ვოლკოვის ქერივი დღდასავით უყვარდა.

იმ დღიდან კვაჭი „მეტის-მეტად როტულს და სახიფათოა“ საქმეს შეუდგა, თან ქერიც ეუბნებოდა:

— ჩვენ, ქართველებს ასეთი ანდაზა გვაქვს: არამითხე მომბეგო, მიტყებთ და შივადო. მეორე ანდაზაც ასეთია: მიამხუბარს ერთი მომხუბა, ვამშველიბელს-ხუთიო.







ბოლოს მაინც ეცალს მიავანო და შიშისგან მიღულ-მიზინედლო მოხუცს ასეთი ამბავი მოუტანა:

— ღმერთმა იმ ხალხისგან თქვეიც დაგეფაროთ და თქვენი მტრებიც! რას მერჩობენ, რათ ჩამოივით, რა ვინდოდათ ჩემგან! ეხლა მეც ჩამუიღეს ხელი და მემუქრებიან, თუ ორი ათას მანეთზე ნაკლები მოვითანიაო, შენც იმ დღედაც წელიც დაეაკლავთო. ვიდა ხელს საღამოზე თავიღებო.

ქერიც ენა დაება და გულის ფანქცალი დაემართა, ხოლო კვაჭი იხეყებოდა:

— ვთხოვთ ვამანთავისუფლოთ ამ სახიფათო საქმისგან. დღერთო ჩემო, ეს რა დღეში ჩავვარდი! მე რა შუაში ვარ, რა დაუწუხებ იმ მგლებს, რას მერჩიან?

დიდხანს იჩურჩულეს იმ საღამოს ქერივმა და კვაჭიმ. ბოლოს ასე ვადასწყვიტეს: შეიძლება ათას ხუთასი მანეთი ვათავადგეს ეს საქმე. ქერიცს ხუთასი მანეთი აქვს შენახული კასაში, დანარჩენს კვაჭი უსესხებს ნათესავებისგან ამპტრდიაში ვექსილით, ან სახლს დაეგროვებს, ხოლო ათასთვის საჭიროა, რომ მის ვოლკოვის ქერივისგან რწმუნების ბარათი ჰქონდეს. ხელს დილით ქერივს მისცემს მას ამ ბარათს. კვაჭი საღამოზე დაბრუნდება და ყველაფერს „ვაიამისქენს“. თუ ფული ვერ იშვავ, არ



1) ნაფარეულის საბჭოთა მამულის საწურავი განყოფილება. 2) ყურანის გადარჩევა. 3) მეჭუნანის მამულის ზეგანის ლენინის მარანის საერთო სურათი. 4) ტფილისის საბჭოთა ლენინის საწყობის საცასრე განყოფილება. 5) კარდანახის დიდი ზეარის ბალეო მარანი. 6) მეჭუნანის მამულის საქვევრო განყოფილება.

დამბრუნდება, იმ ყაჩაღებს თავს მოაჩივებს, სამტრედიისში დაიშლება.

არც იმ დამეს ეძინა მოხუცებულ დედაკაცს. დილაშდის ლოცულობდა, ოხრავდა, შამფურივით ტრიალებდა და თავის ხნის ტახტს აპრაჭუნებდა. კვაჭიმია რიერაგზე მიიძინა, რადგან ქვრივის საქმე აფიჭრებდა და აწუხებდა.

მეორე დღეს ორივენი ნოტარიუსთან მივიდნენ. კვაჭიმ ეკესილი და სრული რწმუნების ბარათი ჩაიღო ჯიბეში და სადგურისკენ გაემშურა. ის დღე ქვრივ დედაკაცს ძლივს დაულოამდა. საღამოზე კვაჭი გახარებული დაბ-

რუნდა. ქვრივისაც ისე გაუხარდა კვაჭის დაბრუნება და ფულის შონა, თითქო თვითონ კი არ ეხარებოდა ის ფული, არამედ თითქო იმის პატარა ქონებას კიდევ მიეცა და მიემბატო. კვაჭიმ ქვრივისგან ხუთასი მანეთიც მიიღო და ანარქისტ-სინდიკალისტების კომიტეტში გაიჭკა.

კვაჭი კვაჭანტირაძემ იმ დამეს ვოლკოვის მოხუცებული ქვრივი უმეცელი სიკვდილისგან იხსნა, ხოლო ანარქისტ-სინდიკალისტები—მეასე ცოდვისგან: სწორედ დროზე მიუსწრო, ათას ხუთასზე დააჯერა და ფულიც ჩააბარა. დროზე რომ არ მიესწრო, სამი კაცი უკვე ნიღბებში იყ-



ენგ და წამოსასვლელად ემზადებოდნენ. მოხუცი დედა-კაცი სიხარულისგან და შიშისგან ატირდა და ხელმეორისდ იშვალა. მეორე დღეს მან ჯერ სამადლობელი პარაკოსი გადაიხადა, მერე ნიშნად მადლობისა და დედაშვილობისა კვაპის ყელზე დიდი ოქროს ჯვარი ჩამოჰკიდა, ხოლო ჯიბეში სასაფრადო თავის ქმრის ვერცხლის პორტსიგარი ჩაუდო, და უთხრა:

— თუ ვაგიპირდეთ, ამ ჯვარზე ილოცეთ; სიკეთეს არც ღმერთი დაგიფიქვებს და ყველაფერში დაგეხმარებათ. არც მე დაგიფიქვებს, შვილო. თუ შეძელ, კიდევ გადაგიხიბინდით მადლობას, თუ არა...

გადაეხვია, აკოცა, ატირდა და კინალამ კვაპიკ აატირა.

IX

იპვე ხანებში კვაპი მუსიკამ გაიტაცა. მუსიკისა მის არაფერში ემსობა, სწენაც სრულიად დახშული ჰქონდა, სხვა საკრავები გულგრილად ითმენდა, ხოლო როიალის ხმაზე ტანში გრუნანტელი უვლიდა და ნეტის აღვლევებისგან ტოკავდა, შვითავდა და ცქქტავდა. ჯერ როიალის ყიდვა უნდოდა, მაგრამ იძიერა და ვადაწყვეტა მისი დაქირავება. მისი ნაწილობის—მიიზელსონის ოჯახი სახუფხულოდ ბორჯომში წასასვლელად ემზადებოდა. კვაპიმ უთხრა მიიზელსონს:

— სხვათა შორის, თქვენ ბორჯომში მიზრძანდებით, არა? შემოდგომამდის არ დაბრუნდებით? იმ დრომდის მე ქუთაისში ვრჩები. ათასი საქვე მაქვს, უნდა მოვახსენოთ, რომ უქანასანელი ჩემი ავადმყოფობა მუსიკა ვახლავთ, ისე ვამიტყვა, რომ ღამის ღამის ვავიფიქვ. მინდა დაკერა ვისწავლო. ისევ დაგვიანებით სჯობია, ვიდრე არასოდეს. მომაქიარებთ თქვენი როიალი.

მიიზელსონს თავის სოცოცხლში ანგარიშის და გამორჩენის გარდა არაფერზე უფიქრობა, ამიტომ ერთ წუთში ასე მოისახრა: სამ თვეში სამ თუმანს ავიღებ, გზის ფულს გამოვალ, ესეც კარგია. მაშინვე მორიგდენ.

იპვე საღამოს კვაპი თავის ოთახში მიიზელსონის როიალს ცალი თითით ვატაკვებით აბრაზუნებდა.

ზაფხული იწურებოდა. საცაა მიიზელსონი უნდა დაბრუნებულიყო.

კვაპი აჩქარა, ავჯატურდა. ერთხელ კვაპიმ და ბესო ჯიქიამ წიწიწურჩულეს. მეორე დღიდან ბესო მუსიკალურ მალაზიას დასტრიალებდა და მალაზიის მუშტარს ჩუქმად ეკითხებოდა:

— უჯაკრავად, თქვენ როიალს ექებთ, არა? სასწრაფოდ იყიდება მშენიერი როიალი, თითქმის სულ ახალია. აქვეა, შორს არ არის. ვისია? ჩემი ამხანაგის, თავადი სევერიან დიდიანისა ვახლავთ. აქვეა, ტუფლისის ქუჩაზე, ვოლკოვის სახლში.

ბოლოს ვინმე არუთინოვს წააწყდა. როიალი ვასინჯეს, მიიწონეს. ფასი?

- შვიდასი მანეთი.
- ოთხასი.
- ექვსასი.
- ხუთასი.
- თქვენი ხათრით დამითმია. ეხლავე მივაქვებ?
- დღესვე უნდა ვავგზავნოთ ფოთში, მეჭქარება.
- კვაპიმ შუალი დაიკმულენა, ერთის წუთით ჩათუქრდა. კომბინაცია თავისთავად გამოინასკვა.

— თუ გნებავთ, მე თვითონ ვავგზავნივით...

— თუ მაგისთანა მადლს მიზამთ, დიდი მადლობელი ვიქნები. ზედმეტს დღე არ დამეკარგება. რას იტყვით, სი-რანუნუ?—ჰკითხა არუთინოვმა თავის ცოლს.

— მაგაზე უკეთესი რაღა იქნება!

— მაშ ასე: როიალი ეხლავე შეაკვირეთ, სად გურზე ვავგზავნით და ჩააბარეთ. საღამოზე „ფრანციაში“ მოზრძანდით, პირველ ნომერში მიკითხეთ. რკინის გზის საბუთი მომიტანეთ და დანარჩენი ფულიც ჩაიბარეთ. ეხლა სახარჯოდ და ბედ ინებეთ ორასი. გვეუფათ?

— რა თქმა უნდა. ბარათს ეხლავე მოგართმევთ. ერთი თხოვნა და პირობა: არაგის არაფერი უთხრათ, ჩემი გვარი და ეს როიალი არსად ახსენოთ. ჩემთვის მეტის მეტად უხერხულია მისი ვაცივით.

— ძალიან კარგი, ეგ ადვილია. სიტყვას ვაძლევთ. ქართველებმა ძალიან თავმოყვარე ხალხი ყოფილა.

— სრული სიმართლეა. ჩვენში სირცხვილად ითვლება ასეთი ნივთის ვაცივდა, მით უფრო თავადი დადიანისთვის.

არუთინოვები წავიდნენ. კვაპი სადგურისკენ ვაპქანდა.

იპვე დღეს საღამოზე „თავადი დადიანი“ სასტუმროში ეწვია არუთინოვს.

— ყველაფერი მზათ ვახლავთ. ძლივს მოვასწარიტ შეკერა და ვავგზავნა. აი რკინის გზის საბუთი. არუთინოვმა საბუთი ვადაშალა და ვასინჯა:

- „საიდან? ქუთაისიდან.“
- „სად? ფოთში.“
- „რა ივგზავნება? როიალი.“
- „წონა? ბრუტტო 50 ფუთი.“
- „ეივ ჰვზავნის? თავადი დადიანი.“
- „ვის ივგზავნება? არუთინოვს.“
- სადგურის ვამგე (ვაურკვევილია). ბუქველი.

— შესაკრეული და ვასავგზავნი?

— 41 მანეთი და 35 კაპეიკი. აი ბარათები. არუთინოვმა ვამოიანგარაშა:

- სულ გურგებათ 555 მანეთი და 2 კაპეიკი.
- სწორეა.

— მიღებული ვაქვთ ორასი, კიდევ გურგებათ 355 მ. და 2 კაპეიკი. ინებეთ.

— სწორეა. მვეილობით ბრძანდებოდეთ.

- საით მიგქქარებთ. დარჩით, ჩიი დავლიოთ—დაჰპატიკა ქალბატონმა სირანუნუნა.

— დიდს მადლობა. მეჭქარება... მელოდებიან...

- მაშ თუ ფოთში ვამოიანგარაშო ოღესმე, გვეწვიეთ. ქალაქის ბალის პირდაპირ ეცხოვრობთ.

— დიდს საიამოვნებთ... უკველად გნახავთ. კეთილი ყოვს ჩვენს ვაცნობა. მვეილობით ბრძანდებოდეთ! მეორე დღეს ბესო ჯიქია კიდევ წააწყდა ვინმე საროკინს.

— უჯაკრავად, თქვენ როიალს ექებთ, არა? სასწრაფოდ იყიდება მშენიერი ბუქკერის როიალი, თითქმის ახალია. აქვეა, შორს არ არის. წამომზრძანდით.

ისევ ვასინჯეს, ისევ მორიგდენ.

- თქვენ მგონი ექავოთ არ ბრძანდებით.
- აქაური არა ვარ, ქუთაისში უნდა წავიქვოდ.
- მაშ ჩვენ ვავგზავნივით... თუ გნებავთ, ორ საათში რკინის გზის საბუთს მოგართმევით...



ამაზედაც მორიგდენ. კვაპი ისევ სადღურისკენ გაქმანა.

იმავე საღამოს კვაპი „დადიანა“ „ორიანტიში“ მიუტანა ინტენერ საროკინს რკინის ზღის საბუთი:

„ქუთაისიდან ჰიათურაში, როიალი, ბრუტტო 50 ფუთი. თავადი დადიანი უგზავნის ინტენერ საროკინს, გადახდილია 11 მანეთი და 2) კაპეიკი.

სადღურის გამგე...

ბეჭედი.

ინვარიშეს და ვაათავეს.

— ლამე მშვიდობის!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ბესო ჯიქია ქუჩაში უცდიდა.

— აბა, ბესო, ხვალვე უნდა „გავაიმასქნათ“ ყოლი-

ფერი. იზოვე?

— მოვაქაზარაკე. წავიდეთ.

— ვინ არის? არ გაბრძვიდე, აქოურს არვის უთხრა—არც ვაქარს, არც ურიას, თვარა...

— აბა, არ ვიცი თუ: ვადასახადების ინსპექტორია, ვინცა გერკოვი. ერთი თვის წინად შეურთავს ცოლი. გუშინდამ დაუქრავს ბინა, ესლა ავეჯს ყიდულობს. ერთი კვირის ჩამოსულია ქუთაისში. იყენენ, გასინჯეს, მიეროგედოთ.

მეორე დღით გერკოვმა—ახალგაზრდა თავმომწონე ნიხილვე ექვსიოდე მუშა მოაყენა კვაპის ოთახს და როიალი თავის ახალ ბუღეში გადაიტანა. იმავე დღეს კვაპი კვაქანტირაძე და ბესარიონ ჯიქია სტუდენტებად მიიწვილენ: ახალი სტუდენტური ფორმა ჩაიცვეს, დამშენდენ და გალამაზდენ; ორივეთა თავიანი თავისა, ერთმანეთისა და ნაწნობ-მიგობარია თვალში უცებ გვიზარდენ, დასრულდენ, დაფასდენ და გადიდესდენ.

ორი დღე და ლამე ლიათაძის და ერემოს დუქნებში ერთი ორომ-ტრიალი, კორიანტელი და ქვიფილ-ხვიფილი იღვა და ისმოდა. ლეონო წყაღივით მოდიოდა, ახლო-მახლო ქათამი და ინდაური გამოილია, რევილვერების ქუქა-ქუხილია ზეკა დააყურა, მედუნეებში და მოსამსახურენი ოფელში იწურებოდენ, მეზურნეებმა ყებნი დაიხეთქეს, დანიელა სურამ ხმა ჩაიხლიჩა, მეთარემ თითები დაიმტვრია, მფარდენ არღანი დაღალა, ოცმა მეეტლემ ცხენები დახოცეს ქენებით და სირბილით, ხოლო მოქეიფე ქალები უძლირობესგან და უღიაჯობისგან ფეხზე ძლივს იდგენ და დათხოვას იხეწებოდნენ.

გაღვიწილი და გაქვნილი კვაპი ყველას ეუბნებოდა:

— რაი, ფულიო? არენი გაბედოს ფულზე ლაპარაკი. ყოლიფერა ჩემი ხარჯია. ხვალ დილით, სწორედ ეს საათზე ყველანი სახლში ჩემფითი. ყველას ანგარიშს იქ ვავასწორებ, ხვალ ყველანი ჩემი სტუდენტები ხართ-ერთ-მოც, დანიელაც, ბიჭებიც, ქალებიც, „ფაიტორნიკებიც“. ერემო! კვირას ჯიქია გვაპტობის ყველას. დანებადე, არ შემარცხებინა. დანიელა! შენც ხმა ჩემფინდენ! ყმაწვილეთბო, ექსტრა! ერემო, ვსვამ შენს სადღურგრძობას!—და გახეილ-გაბედნილ ერემოს ისეთი თბილი, მეგობრული და მძორი სიტყვა უთხრა, რომ თვითონაც ატარდა და ერემოც ააერემოდა. ერემოს კოცინთ ტუჩები და ლოყები გაუცვივთეს, სარდაფი დაუცალეს, სანოვავე გამოჟღერეს და ისეთი კუქა-ქუხილით, ღრინაკელით და ყიფინით შემოკვიდენ ქუთაისში, რომ უცნოს ეგონებოდა—მტრებს

ციხე შემოანგრა და გამარჯვებით დამთვრალი ჯარი ქალაქში შემოიჭრაო.

შუაღმედ რომ ვადაიდა, ქუთაისიდან ხონისკენ ერთი ეტლი ვაიდა. შიგ ორი ახალგაზრდა მგზავრი იჯდა. ორივენი ისე იყენენ ვაბალახებით ახეულენი, რომ კერავინ მოახერხა მათი პირსახის დანახვა და ცნობა. ეტლმა ლიათაძის დუქანს გრიგალივით გაურბინა. მგზავრები მოიბუზენ, მოკუნტენ და თავიანთ ხაბაკ-ხუბაკში ჩაძვრენ. დუქანს კარგა მოშორებით რომ გასკდენენ; ორივენი ხაბაკ-ხუბაკიდან ისევ ამოძვრენ და გასწორდენ, ორივემ პირსახიდან ყაბალახები აიხსნეს და შევებით ამოსუნთქეს. ბოლოს ერთმა წამოიძახა:

— მშვიდობით ქუთაისო!

— მშვიდობით!—გამიერთა მეორემ.—ვინ იცის, როდის ვნახავ ერთმანეთს!

მეორე დღეს ათი საათიდან ვოლკოვის ქვრივი ძლივს ასწრებდა თავის კარების ვალებს და პასუხის ვაეცხას.

— Уехали! Уехали, говорят вам! Самими уехали; совсем! Вот надоели! Господи, вот замучили!

სახლის წინ ერემო, დანიელა და ლიათაძე კბილებს აკრატუნებდენ, დანკვერულები ავლანბრულად ივივნებოდენ, ქალები რუსულად იონანდებოდენ, ხოლო მეტლემებმა ცხენები დაილაღეს და ქუთაისი გადაატრიალეს კვაპი კვაქანტირაძის ძეხნაში.

X

სამი დღის შემდეგ ბორჯომიდან მაიხელსონი დაბრუნდა, იმავე ხანებში ფოთიდან არუთინოვი ამოვარდა, ჰიათურული საროკინი ჩამოვარდა. სამივენი ჯერ სირბილით ოფელში გაიწურენ, ბოლოს ყველანი გერკოვის შეუცკვიდენ. სასტუმრო ოთახში ოთხივენი შეხედენ ერთმანეთს, ოთხივენი ჩაეჭიდენ იმ როიალს, თან ოთხივენი ყვიროდენ.

— ჩემბა! ჩემბა!

მერე, როცა დაილაღენ ყვირილი და კამათით, დასხდენ და დინჯად უამბეს ერთმანეთს თავიანთი ამბავი, და დასაბუთეს თავიანთი უფლებანი იმ როიალზე. მაიხელსონი შედარებით არხინად იყო, სხვებს დასცინოდა და მასხარად იგებდა, დანარჩენები იონანდებოდენ და იმუქრებოდენ. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ გერკოვმა ხელმოკრედ იყიდა იგივე როიალი, ხელკალივი არუთინოვი ისევ ფოთში ჩავიდა, გამწარებულად საროკინი ისევ ჰიათურაში ავიდა. კვაპის თავი დაანებეს, რადგან ახალგაზრდა სტუდენტი დასაუბლად ვერ გამოეტეს. ესეც რომ არ ყოფილიყო, იმ დროს ქვეყანა უპატრონიად იყო და ოთხივე დაზარალებულს რუსეთში გადაეკარგული კვაპის დევერ ტყველად ჩაუვლიდათ და ვეკილების ფულიც დაეკარგებოდათ.

ან რომ ჩამოაკლიდენ გაუფიქლო სტუდენტს? ამ ქვეყანა ვეკილად იხვარის საქმეა.

იმავე ხანებში ვოლკოვის ქვრივს ვინმე ხუხუ ჩიჩია-სგან ნოტარული განცხადება მიუვლიდა. ქვრივმა რომ ის განცხადება წაიკითხა, ელდა ეცა, თვალები მუშტულ აუვარდა, ენა მუცელში ჩაუვარდა, მუხლი მოეჭრა, ჩაიჩოქა და გული წავიდა. მაღლობა უფალსა, რომ სწორედ იმ დროს მეზობელმა—კოლია ცალიძამემ შეუსწორა და მოასულიერა. მოხუცებულმა ქვრივს მაინც ვანჯე ვერ მოსულიყო: თავსა და ხელებს აცანცარებდა, ტუჩებს აცმაკუნებდა და ლაპარაკს ჰლამობდა. ბოლოს ის განცხადება ხელმოკრედ ვადაიკითხა. ვილაც ჩიჩია სწევდა:



„ამა წლის შვიდ ივლისს მე ვიყიდე თქვენი სახლი, ქალაქ ქუთაისში რომ მდებარეობს, ტფილისის ქუჩაზე, კვაკე სილიბისტროს-ძე კვაპანტირაძისაგან, რომელსაც თქვენგან სრული რწმუნების ბარათი ჰქონდა, დადასტურებული ამავე წლის შვიდ ივლისს ქალაქ ქუთაისის ნოტარუსში ანჯაფარაძის მიერ. ვარდა ამისა, იმავე დღეს მე გაესხეთ ნაღდი ფულით ოთხი ათასი მანეთი თქვენ მიერ ხელმოწერილი ვექსილით, რომელსაც ვადა გაუვიდა ამა წლის პირველ სექტემბერს, ვთხოვეთ შვიდი დღის განმავლობაში სახლი დამეცალათ, რადგან მე თვითონ ვაპირებ ჩემვე სახლი ვადმოსვლას, ხოლო სამი დღის განმავლობაში გამინადლოთ ვალი თავის სარგებლით.“

ხუხუ ჩიჩია

სამტრეია.

ხონის გზა, სახლი ძაბული კვაპანტირაძისა.

იმავე საღამოს ვოლკოვის ქერივი განთქმულ ვექსილთან—ტვიჩისათან მიჩანაღდა. ქერივის მდგომარეობა კოლია ცალიტაქემ მიასწავლა ის ვექსილი, თორემ რა ესმოდა კანონების ვექსილობის ავ-კარგობისა სამოცი წლის მოხუცს, რომელსაც აქამდის მხოლოდ ის ჰქონდა გაგონილი, რომ სადღაც არსებობენ სასტიკი მოსამართლენი, უხედურთა მხსნელი ვექსილები, უღმობელი ბრალმდებელნი და „საწყალი, ღვთისგან და ხალხისგან დაჩაგრული კატორღელები“? ან ის რა იცოდა, ან საიდან და როგორ გაიგებდა ვამოყერყეტებული მოხუცი, რომ იმავე დღეს შოლისა დუქანში, ბალახვანის ქუჩაზე ერთად ისადილეს და იქეიფეს სილიბისტრო კვაპანტირაძემ, ხუხუ ჩიჩიამ, ტვიჩიამ და ქერივის მდგომარეობა კოლია ცალიტაქემ, რომელიც იმავე საღამოს მეტის გულკეთილობით და თავაზიანობით იმ ჩანანას რუსის დედაკაცს განთქმული ვექსილის—ტვიჩის კარგებამდის მიჰყვა? ან იმას როგორ დიქებდა, ან გულში როგორ გაიტარებდა მორწმუნე, გულუბრყვილო და უცო-

დეგლი სარატოველი „ბაბა“, რომ სწორედ ხეიჩია იყო სილიბისტრო კვაპანტირაძის და ხუხუ ჩიჩიას ვექსილი, და რომ ის წერილი, რომელმაც დილით ქერივის ფული შეულონა, იმავე დღეს სწორედ ტვიჩიამ დასწერა და გაგზავნა? ტვიჩიამ ვოლკოვის ქერივი დიდის თავაზით, ღმილით და აღურისით მიიღო. ტკბილმა ენამ, ცხელმა ჩაიმ და ვარდის მერხამან ის დედაკაცი სულ დაატკბო, დაადნო, მოხიზლა და ტვიჩიას ხელში ჩაუგდო.

ქერივმა რომ ყველაფერი გაღწეულია და ცრემლით გული მოიჯერა, ტვიჩიამ დიდხანს იდუქა, მერე დინჯად და გულწრფელის კილოთი უთხრა:

— მენანებით, ისე მენანებით, როგორც საკუთარი დედა. მაგრამ მარტო სიბრაღული საქმეს ვერ უშველის. ჯერ ერთი: თქვენ ანარქისტებისთვის იმოდენა ფულით დახმარება გაგაწევიათ. მთავრობამ რომ ეს ამბავი გაგიგოს, ან ჩამოგახიზონენ, ან ციხიბირი აქეთ დაგარჩებათ. ნუ ლელავთ, დამშვიდდით. მეც ვიცი, რომ ნებაყოფლობით არ მიგიციათ ის ფული, მაგრამ ეგ სულ ერთია, მათ თქვენგან ფული მიიღეს და ამით ხელი მოიმართეს. მადლობა შესწირეთ უფაღს, რომ მე წამაწყდით. სხვა ჩემ მაგიერი არ გაჩემდებოდა, სადმე იტყოდა და დაგლუპავდა. ერთ რჩევას მოგცემთ, როგორც ჩემს დედას და ღვთისნიერ აღმძიანს: არსად, არასოდეს, არავის ეგ ამბავი აღარ გაუხიაროთ: გირჩევთ იგი საფლავში ჩაიტანათ, თორემ—ვიმეორებ—არასგზით არ ავცდებთ ან კატორღა, ან ჩამოხიზნა.

ეხლა მეორე: თქვენ კვაპანტირაძისთვის მიგიციათ სრული რწმუნების ბარათი, ე. ი. უფლება სახლის გაყიდვისა. მესამე: მისთვისვე მიგიციათ ოთხი ათასი მანეთის ვექსილი. რაო, ათას მანეთზე იყო ლაპარაკი? ვექსილში არაფერი ეწერა? მოწიფ არა გყავთ? ლაპარაკი ზედმეტია. თუ მაგზე დაუწყეთ დავა, ანარქისტების დახმარებაც



სრულიად საქ. მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მატროსთა მეორე ყრილობის დელეგატი ქალბი. პირველ რიგში მარჯვნივ სტანანა შემდ. ახ: ახ. იაგორაშვილი (თელ. მახრ.) გაბარია (ზუგდიდის მახრ.) თალაკვაძე (ოზურგეთის მახრიდან) ეკ. მიხაილოვა (თბილისიდან) ჩარკვიანი (შორ. მახრ.) მეორე რიგში ახ: მებენაშვილი (საგარეჯოს რაიონიდან) თ. ადამიძე (სიღნაღის მახრ.) გორის საკონსერვო ქარხნის მუშა კალი (გორის მახრიდან) კატო მიქაძე (ქუთ. მახრ.) შერმანდინი (ღუშეთის მახრიდან).




ფეხს გამოჰყოფდნენ, მაშასადამე— ისე ჩამოხზობა, ან ციმბირი. კიდევ დიდხანს აშინა და აფეთა ტვიჩიამ შიშისგან ენადამბული და მიბნედილი დედაკაცი. ბოლოს უთხრა: — ჩემი რჩევა და ღრმა რწმენა ასეთია: მე ვიცნობ იმ ჩიჩიას. იქნება მოვახვრობო, რომ ჩიჩიამ იმ სახლში ერთი ოთახი დაგითმოს საჭირო ავეჯეულობით. ცოტა პენსია გაქვთ. ცოტასაც კერვით ან სამსახურით იშოვით, მეტიც არ უნდა მართხებულა დედაკაცს. დედაშვილურად გირჩევთ დასთანხმდეთ, თორემ სრულიად ხელცალდებრი დარჩებით, რაო, მოიფიქრებთ? კეთილი, მოიფიქრეთ და მობრძანდით, ოღონდ ფრთხილად! არავის უამაოთ ის ამბავი, თორემ... ღამე მშვიდობისა! ძილი ნებისა... აქეთ მობრძანდით..—და ლასლასით მიმავალი დედაკაცი კარებამდის მიაცილა.

ქუჩაში ვოლკოვის ქვრვის შემთხვევით კლია ცა-

— გაიხსენეთ ჩემი სიტყვა, კვაქიკოს დაბადების ღამეს რომ გითხარით. მზემ რომ იმ დღეს თავზე გვირგვინი დაიდვა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ კვაქის ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოუღის მეთქი; იმავ დღეს რომ ალვის ხეს მჭეი დაეკა და ჟონდიას ღუქანიც რომ ეშმაკებმა წააღეს, ესეც იმის ნიშანი იყო, რომ კვაქის მტრებს—ჯგავი აქურობას!—მჭეი დაეკემათ და გულბები ისე დაუსკდებათ, როგორც ის ალვის ხე გახეთქა მეთქი მგებმა. ასე ვთქვი ცხრამეტი წლის წინეთ. არ გამართლდა თუ ჩემისიტყვა!

ყველამ მოიგონა ნოტიოს წინასწარმეტყველება, ყველანი დათანხმდნენ, რომ იგი მართლა გამართლდა. სილიბისტრომ გაიხსენა:

— გახსოვთ ალბათ, რომ ჩვენი კვაქიკო პაწაწობაში ტირილის დროს სულ „მე-მეს“ იძახოდა. მაშინ ესთქვი:



კახლ მევენახეთა „კავშირთა კავშირი“ (მუჯუნანი) სათბური შიგნიდან. ვახის გაღვივება რიხტერის წესით.

ლიქაძე შეხვდა, რომელმაც ძლივს მიიყვანა სახლში. ის საღამო და მეორე დღე ცალიქაძე არ მოჰპოვრებია ავადმყოფ დედაკაცს, რომელიც ხანგრძლივი ლოკვისა, ფიქრისა, ოხვრისა და ტირილის შემდეგ ისევე ტვიჩიასთან მივიდა და უთხრა:

— თანახმა ვარ, ოღონდ ლუკმა პური და ერთი კუთხე მქონდეს იმ სახლში. მომიხერხეთ.

ტვიჩიამ ადვილად და მალე მოუხერხა.

ერთი კვირის შემდეგ სილიბისტრო კვაქანტრიაძემ გაყიდა თავის „სასტუმრო“—სამტრედიანოში რომ ჰქონდა, ხონის გზის ნაპირზე, ზოგი ხაბაკ-ხუბაკით აიბარგა და გადმოსახლდა დიდს, მშვენიერს, მდიდარსა და სუფთა ქუთაისში, საკუთარ სახლში, ტფილისის ქუჩაზე; იგი სახლი მან—როგორც თვითონ ამბობდა—„დიდი, მიძიმე შრომით და სასუთარი ოფლით“ შეიძინა ერთი უპატრონო ქვრვისგან, რომელიც ისე შეიბარა და შეიწყალა, რომ მას უფასოდ კიბის ქვეშ პაწაწინა ბნელი ოთახი მისცა და მცირეოდენი ხს ავეჯიც დაეთმო.

ხუხუ ჩიჩიას მეუღლეს, კვაქი კვაქანტრიაძის ბებიას, პატყვემულ ნოტიოს ახალ საკუთარ სახლში, ტფილისის ქუჩაზე პირველივე ღამეს გაასხენდა:

ეს ბავში არავის აფერს შეარჩენს და მთელ ქვეყანას დეჩემებს მეთქი. აკი მართლდება ჩემი სიტყვა!

სილიბისტროსაც დაეთანხმნენ.

— ვენაცევე ჩემს კვაქიკოს!—დაუმატა კვაქის დედამ ძაბულიან.—სიბერეში ქუთაისში დამასახლა.

— ისიც საკუთარ სახლში.—დაამთავრა კვაქის პაპამ ხუხუ ჩიჩიამ, და სილიბისტროს მიუბრუნდა:—მა, სილიბისტრო! რაღა გაქვს აწი სინატრი? ერთი პრაპოჩიკის ჩინი, პოლტეტი და... მუნჯე უკეთესი მარშალი ქე კილო იქნება საქართველოში?

იმ ღამე სილიბისტრო ძილიშ შფოთავდა, ტოკავდა, იბოინებოდა და იბერებოდა, რადგან სიხმარში თავადანხანურთა მარშალი გახმარაყო, გულზე ათიოდე ვარსკლავი და ჯგავი ეკიდა, მხრებზე ეპოლტეტი უბრწყინავდა და ტანზე კამერ-იუნკერის თეთრი მუნდიარი ეცვა, სულ ოქრო-მკერდით მოქარგული, ხოლო უკან-ნიშნად მეუის ნდობისა და მაღალი ხელისუფლებისა—დიდი ოქროს გასაღები ჰქონდა დაკიდული.

სწორედ იმავე ღამეს მისმა სასიქადლო და სახელოვანმა შვილმა კვაქი კვაქანტრიაძემ ბათუმში ბილეთი იყიდა და გვეით რუსეთისკენ მოუსვა.

მიხეილ ადამაშვილი,

9 ი ა ნ ვ ი ა რ ი.

უამრავ რიცხვით მიდიოდა გულდაჯერებით
 ხალხი მეფესთან, წინ მიქონდათ სურათი მისი;
 უძლოდა მღვდელი, შემდეგ ხატი და შემდეგ ჯვრები
 იყენენ დროშები გამრღვეველნი თოვლიან ცისა.

ყინულ ჰაერში მზე მოსჩანდა ოდნავ, კიაფად,
 გზა შორეული თოვლში იყო მთლად ჩამარხული.
 ქარი მრისხანე გაკვირდა და შეჩერდა სწრაფად
 ამდენი ხალხი: არა ჰყავდა ქარსაც ნახული

იქ იყვნენ ძმები, დები იყვნენ ამხანაგები
 და დედ მამები... ქუჩა იყო მთლად დაფარული:
 იყვნენ ბებრები მოღუნულნი დროთა განგებით,
 და ჰაბუჯები პირტიტველნი და მხიარულნი.

უამრავ რიცხვით მიდიოდნენ ლოცვის გალობით,
 ეთქვათ მეფისთვის, რა მწარეა იმათი ბედი.
 ეთხოვათ მისთვის, რომ მეფური სიტყვის წყალობით
 მიეცათ მათთვის უფლება და რამე იმედი.

შენი გამქურდველ მსახურების დიდ ერთგულებით,
 ოქროთი მორთულ ჯალათების მხეტურ ნებაზე
 ჩვენ დღეს ვსივდებით სიმშლისგან დაკარგულები,
 და არ გვაქვს ძალა, რომ ვიფიქროთ დასვენებაზე.

ჩვენი მფარველი, ჩვენი მეფე, ჩვენ ეხლა გენდა!
 გვისმინე როგორც მამა უსმენს საყვარელ შვილებს...
 მაგრამ იმედი მათი შვებით არ დაგვირგვინდა,
 პასუხი გასცეს საშინელი გულ დაღადრულებს...

შეხედნენ ტყვიებით სიკვდილით და საზარელ ხმებით,
 შეუბრალებლად სჭრიდნენ, ჰკლავდნენ განხეცულნი.
 შეირხა ხალხი და შეჩერდა მკენესარე ხმებით,
 ძირს ეცემოდნენ კივილით და ზარ დაკემულნი.

კრულვა შავ მონებს კრულვა მხეცებს და ძმების
 მკვლელებს
 და უფრო მეტი კრულვა მას ვინც გასცა ბრძანება.
 და თითქოს ხალხის აკენესებას უფრო აგრძელებს
 ქარი, რომელიც თოვლის ფრთებით მოექანება.

ბეგრია მკვდარი, მაგრამ მასთან ერთად მკვდარია
 ნღობა ხალხისა, ეს წუთი მას ემასსოვრება;
 და ყველა მიხვდა, რომ თუ ბედი საოცარია,
 არ შეიძლება მომავალში ასე ცხოვრება.

ჩაქა მზის სხივი, ზოდის ღამის შავი მანტია,
 ზოდო ქალაქს საშინელი, ცივი სიბნელე,
 მხოლოდ აქა იქ მოედნებზე ცეცხლი ანთია
 და სიჩუმეში დარაჯები ითბობენ ხელებს;

და ვილაც სუსტი უსუსური ბავშვის ტირილით
 ლანდივით მოსჩანს, ეშინია და ეცემა,
 მაგრამ სხვა ლანდი მრისხანე და როგორც კივილი
 მოითხოვს მდგრად სამუდამოდ შურის ძიებას.

6. რიბაცკი.



ჰეროსტრატოსი.

წყალს დიდევშმა, როცა შინიდან გამოვიდა. ტორტმინებდა: ფიქრთა ალკოჰოლს გამოეთვრა.

მთვარემ შუქი მიაყენა, ჰარმა ტორტები შემოჰკრა და მოსულიერდა. მუხლი გაუმავრდა. ზიზლით ვადახედა თავის სახლსა, მიდამოს და გზას გაულგა.

მიდიოდა ალალ ბედელ. მიდიოდა და თან ბუტბუტებდა. ბუტბუტებდა და მუშტით ქვეყანას ემუქრებოდა. ემუქრებოდა და კბილებს უღრჭუნდა.

გზადაგზა ბოძიკობდა და მუხლებს იმტრევდა.

ულაბურებში გავიდა, შეჩერდა და მიტოვებულ ქალაქს მიუბრუნდა.

— ლოდებით საცხეც! ლოდებით საცხეც სოფელო! ამოსაბუტო! — დაუყვარა მრისხანებით, — საარაკო საქმეს დაგმართებ!

ატაცებულის სისწრაფით სამოსელი გაიძრო, ატაცებულის სისწრაფით ნაფლეთებდა აქცია და გამოვიღო გზისკენ გადისროლა.

— წაიღე! წაიღე უკანვე! წაიღე ეს შენი ფარტინა, ადამიანთა ბუნავო! დაუნდობელო! სულის ჯაღათო! შიშველი გამოსულუფარ ბუნების წაილიდან და შიშველივე დავეზრუნდები!.. კორესს და ჰრიონ, მშობლიო მთებო! თქვენ კალთებს აფარებს თავსა ჰეროსტრატოსი!.. დაღუშდა და კლდე-ღრეებს გადაერია.

II

— იცი? გაიგეთ? — ეკითხებოდენ ერთმანეთს ეფეცლები. — ჰეროსტრატოსი აღარსადა სჩანს!

— ჰო, მართალია, აღარსადა სჩანს. ორი დღეა ეძებენ და ვერ უპოვიათ.

— ნეტა რა თავს იცხებუბენ?.. მე თქვენ გითხრათ, ერთი დიდებული ვინმე დაკარგულს... ცეტი! მთლად გადარეული!

— მაგის კი რა მოგახსენო, მაგრამ, საწყალი, ცოტა დონეზე რომ არ იყო, ეს მართალია.

— ცოტა კი არა ძალიანაც არ იყო დონეზე! რა ბოდიშსა ჰხდ?

— სწორედ რომ ძალიან არ იყო დონეზე. ამ ბოლო დროს სულ კაისტროსის ნაპირებთან ვეზდავდი მარტოდ მარტო მჯდომარეს, თავისთვის მოლაპარაკეს.

— მეც ვეზდავდი, მეც! ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. ალბად თავის გულის ნადებს მდინარეს თუ უზიარებდა!

— ანა რაღა თქმა უნდა? რაღა თქმა უნდა? მაშ ვინ მიუხეცდებოდა ადამიანთავანი იმის თავიდან გამომდინარე დიად აზრებსა?

— ჰა! ჰა! ჰა!.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. ალბად დიდებულ აზრებთან ერთად თავისი დიდებული თავიც კაისტროსის ტალღებს თუ გაუზიარა!

— ალბად რომელიმე კაისტროიდი თუ შეუყვარდა, ჰა!

— ალბად, ალბად!.. ვინ იცის ეხლა კაისტროიდების სასახლეშიც კეთიფოს!

— ჩემმა მტერმა იქეთოს ის!.. ვინ იცის რამდენი ლამი აყლაბა კაისტროსმა!

— რათ დაციინით? მიცვლებულის აუფის თქმა არ არის მართებული.

— შენცა ერთი!.. გამოვსარჩლა ვაგბატონი! ნეტავი სხეაც ბეგრი იმისთანა დალაშის კაისტროსმა!

— ლონდაც, ოლონდაც!.. ის უბედურცი, ისა!.. იცი? თურმე, აპოლონის ტაძრის აგება რომ განიძრახა ჩვენმა ქალაქმა არტემისის ტაძრის გეგმით, თავის გეგმა წარადგინა, ამითი იხელმძღვანელთ, უკეთესი გამოვიო.

— არტემისის ტაძრის იწყებულა?.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა! ნამდვილი ტკუის კოლოფა ყოფილა!

— დიხს კოლოფი ყოვილა, მაგრამ ცარიელი! აფსუს ხერსიფორნ, აფსუს! ვინ გიწუნებდა ნამოქმედარსა და! არტემისის ტაძარზე უკეთესი არც უწინ ყოვილა და არც მომავალში იქნება.. ის მიღწევა მწვერვალამდე, მწვერვალადან ჩამოვარებულა შეიძლება.

— ის იკ ამბობდა, მწვერვალი არ არსებობსო. ან თითქმის უჩერებელი დაუსრულებელი სვლაა ზეფითკენ, ან უჩერებელი დაუსრულებელი გორება უფსკრული-საკენაო.

— ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. რა უთქვამს და!.. მაშ, ალბად, ეხლა აჩრდილთა სამეფოშიაც თუ მიგორავს უფსკრული-საკენ მაგ აზრის პატრონი?..

— ალბად, ალბად!.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა!..

კვირაზე მეტი იარა მითქმა-მოთქმამ, ჰეროსტრატოსის დაკარგვის გამო ეფესოს მოედანზე, ბაზარსა და ქუჩებში, დუქნებსა და ოჯახებში და ბოლოს მისწყდა.

III

დილა იყო, როცა ვინმე ჰარმოდოსი ვინმე ჰელანიკოსს შეხვდა.

— ოოო, მეგობარო ჰელანიკოს! ჰელანიკოს!

— ოოო, ჰარმოდოს! ჰარმოდოს!

ამ შეხახებას მაგარი ხელის ჩაზრთიფეა მოჰყვა: ერთი ნაცნობი მეორეს აევიატა.

— იცი, ჰელანიკოს? ჰეროსტრატოსი უნახავთ!

— რას ამბობ? მართლა?

— ვითომ არ იცის!

— არტემისის გეფიციები, არ ვიცი!

იცოდა მაგრამ არ ამხელდა: ამხანაგისაგან ვარიაცის მოელოდა.

— მაშ არ იცი?

— აპოლონის მადლმა, არ ვიცი.

— მთელა ქალაქი კი ლაპარაკობს და!.. მართალი იყო, წინადლით, საღაშოს ჟამს ვილაკას ენახა ჰეროსტრატოსი, ქალაქში ამხავი მოეტანა და დლით ქუჩებმა, ბაზარმა, დუქნებმა, მოედანმა და ოჯახებმა უკვე იცოდნენ.

— მაშ მე ჰელანიკოსი არ ვიყო, თუ ვიცოდი! ჰარმოდოსი დარწმუნდა, თუ არ დარწმუნდა ჰელანიკოსის სიტყვებში, ეგ ძუსმა უწყედა, მაგრამ ამხავს რომ მოჰყვა სიამოვნებთ, ამას კი სახე უმტკიცებდა.

— წარმოიდგინე, პანად ქვეულა ჰეროსტრატოსი!

— რას ამბობ?

— ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა! პანად ქვეულა. თავზე რქები შეუმჩვება პანფოსსა და ცხადად დაუნახავს, რომ ფეხები თხისს ჰქონია.

— ჰი დიდება შენდა ძეუსო და არტემისი ეფესის მფარველო!



— ჰო მე და ჩემმა ღმერთმა მართალია!.. თურმე ნიმფებს ეარზიებოდნენ.

— მერე? კულიცა ჰქონია?

— სწორედ, თხას რომ აქვს ხოლმე, ისეთი.

— ერთი უყურე იმას და! უყურე ერთი რა ბედში ჩაგარდნილა?

— რა? შეგშურდა?

— შეგშურდა, მამა?

— რა არის აქ შესაშური? მინცა და მინც რა ძალიან სასიამოვნოა თხის კული და ფეხები?

— შენცა ერთი, მომიყვები!.. რქები, თხის კული, თხის ფეხები კი არა, ვირის ყურებიც რომ გამომებას ძაღლის კულთან ერთად, თავს არ დავინანებ, ოღონდ ნიმფებთან მამულები და დრო მატარებინა!

ნაცნობები დაჰპორდენ. ჰელანიკოსმა მოედინსაკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ვინმე მეტონმა შეაჩერა.

— ჰელანიკოს, იცი ახალი ამბავი?

— ვიცი, ვიცი? ჰეროსტრატოს ვირის ყურები გამოჰმამია!

— რაო? ვირის ყურებიო?!

— ვირის ყურები, თხის კული, თხის ფეხები... რქებიცა.

— მერე, ცოლი რომ არა ჰყავდა, ვინ გამოაბამდა რქებსა?

— რას ამბობ, სულელი! ცოლი რად უნდა, როცა ორიადები, აღსეიდები და სხვა ნიმფები ეარზიყებიან? ნახვამდის!

— დაიცა. მე იც ასე მითხრეს, ჰეროსტრატოს კენტაუროსად ქცეულაო. პამფოსს გამოსდგომია. პამფოსს შინ გულხვებუებით მოვადიხილა.

ჰელანიკოსმა თვალზე აქეცია.

— კენტაუროსადიო?

— ჰო, კენტაუროსადიო. ნახვამდის.

— დაიცა, მეტონ, დაიცა! მერე რომ კენტაუროსად ქცეულა?

— მერე და აკი გითხარი: პამფოსი დაუქერია და თავისთან წაუყვანია. ნახვამდის.

ებეიოსმა გამოიარა და გაშტერებულ ჰელანიკოსს ხელი წაჰჭრა.

— რას დგებარ? წამო გამოიარე!

— დაიცა, კაცო! რა დროს ეგ არის? კენტაუროსს პამფოსის ნაცულად პამფოსის ცოლი გაეტყინა? ლამაზი ქალია.

— ავრა, ჩემო კარგო, ზოგს ქმარი მოსწონს, ზოგს ცოლი. ან შერე რა გენადლებო? „პამფოსი თუ გაუტაცანია, პამფოსის ცოლი მამ შენ დაგჩენია“ წამო მოედანზე, იქ ბეგრს სხვა რამეებსაც გაიგებ.

ებეიოსმა ჰელანიკოსი მოედინსაკენ წაიყვანა.

მოედანზე აურხაური იდგა: ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი და ჰეროსტრატოსს თევჯადსაველს გადასცემდენ ერთმანეთსა.

სალამომდე ჰეროსტრატოსის მეტამორფოზის ამბავი საესებით შემოწმებულ და დამტკიცებულ იქნა.

IV

ლამეს, ბნელს, ქალბრა ეპარებოდა და დარაჯებს თვალემდე ძილის პრეტელი ფრთები ეფარებოდა, როცა არტემისს ტაძრის კვლდებთან აქა-იქ უჩინაური ციციანთელები აბჟუტდენ. აბჟუტდენ და გაიზარდენ, გაიზარ-

დენ და ალის ყლორტებად დაიჭიმენ და დაიჭიმენ და ნიაზე ქანაობა დაიწყეს, შუქის კალოები აათამაშეს, სიგრძე სიგანე მოიმატეს, მულავეები გამოიბეს, მზარი მზარს გადასდეს და მოგუჟუნე წითელი ფერხული ჩააბეს.

ტაძრის კვიპაროსნი აპარპალდენ.

წითელი ფერხულანი ვინმე ტრიანლებდა. წელი და მენჯები თხის ტუავით დაფურნა. წამსა და წამსა ალაგდან ალაგზე გადდიოდა და კვარის ნახეხებს ცეცხლში ურგვდა, ანთებდა და არტემისის სავანის ბანზე აგდებდა, სანათურებში ჰყრიდა.

ძილით ძლეულნი ტაძრის დარაჯნი დაფეთიანდენ, გამოიღვიძეს და ცეცხლის დანახავზე ყვირილი ასტებეს... ქალაქიც ახმაურდა.

მოვიდა ხალხი, მოვიდენ ქურუმნი, მოვიდენ მამასახლსნი.

თხისტყავიანმა ხარხარი მორთო...

— პანია, პანი!

— პანია! პანია!

— პანი! პანი!

გაისმა ძხილი და სიტყვა პანმა ბროზში მოგზაურობა იწყო. პირიდან პირში გადავიდა, რივიდან რივში და ბოლოს სადღასაც, რაღაც საიდუმლოების ძალით კენტავროსად იქცა.

ბეგრი შეშინდა და უკან დაიხია.

პანადნობილმა კი ხარხარს უმატა და თავმოყრილთ მკვრები მოუღერა.

— ეპ! მამასახლსნი! ქურუმნი! სისხლის მსუტავნი! სულის ჯალათნი! ეპ! ევესელნი! რიყის ქვებო! ლოდები! ვერა ხეირობს თქვენში ვარდა სულნელი, მზის სხივის მოყვარული, ვერა ხეირობს, ვერა! ვერც იხეირებს! მეტრის ბური ედება, ქანება და კვდება... ამას მოგითხრობთ მე! ჰეროსტრატოსი..

— ჰეროსტრატოსი! ჰეროსტრატოსი! — გაიმორეს მამასახლსთ, ქურუმებმა და ხალხმაც ბანი მისცა.

— დაიხ, ჰეროსტრატოსი! შურსა ეძიობ!.. თქვენ ლამპარი დამიქრეთ სახელისაკენ, მე ჩირაღდანი გავიმართე!

— შევიყრათ! შევიყრათ! ეწამოთ! წამოვიგრვინა რბომ და ჰეროსტრატოსისკენ ტალა ისროლა... დამნაშავე დააპატრეფს.

V

მეორე აზის სანაპიროები აქოთქოთდენ: არტემისს ევესელს ნანგრევებში უხდებოდა თავის შეფარება. ქალაქი ქალაქს სამიძიარს ეუნებოდა და ჰეროსტრატოსის ნამოქმედარის მიზებს ძიობდენ.

ევესოსს ძვირფასი სამკაული წაუხდა და თავპირი ამოსტერიოდა და მცხოვრებლები კბილებს ილესდენ და საარაკო სასჯელს იფრინებდენ დამნაშავესთვის.



განსჯის დღეს ყველამ მოედანს მიაშურა. გულის მოსფხანად ყველამ თავისი თქვა.

— ვალი სიკვდილი ცოტაა იმისათვის.

— დაიხაც რომ ცოტაა! უნდა ჯერ გავარავრებულ რკინის სკამზე დაფიცავ, რომ პანის კული მოხერჯოს... ზოგს ისეც პანადქცეულ დამიანად მიაჩნდა ჰეროსტრატოსი...

— რაო? გახურებული რკინის სკამიო! უნდა ცოცხლივ სულ ასო-ასო დავანაწილოთ!

— ეგ ხომ თათლი იქნება! უნდა ცოცხალს გახურე-



1) კომუნისტი ჯარისკაცი, რომელიც დრეზდენის გაბეგობის შენობის საბურავიდან, თოფს ესვრის რეინსერის პატრულებს.
 2) მ. ცეცხერი, საქათონის ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე. 3) ქემალ-ფაშა (უკანასკნელი სურათი) არჩეული სრულიად ოსმალეთის მეფლის თავმჯდომარედ. 4) გერმანიის ყოფილი კრონპრინცი. 5) ლიდი ჯორჯი და მაიმუნი. 6) მუსოლინი ყვავილებში. 7) ბონარ-ლოუ, ახლად გარდაცვალებული ყოფ. თავმჯდომარე ინგლისის მთავრობისა.



ბული შამფური პირში ვაძგვროთ და ლაჯების უკანაში გამოვყაფინით წვერი!

— არა! უნდა ლაჯების უკანაში ვაძგვროთ, რომ, სანამ პირში გამოუფილოდეს, სულ ვაიმე დედაო, იძახოს, თორემ ისე, როგორც შენ გინდა, მარტო ერთ დაყვირებ. ს. გავიგონებთ.

— არა, არა!.. არა ეგეც ცოტაა! ცოტაა!
— მართალია, მართალი! ცოტაა, ცოტა!
სასჯელების დასახელების შეჯიბრება გაიმართა, განუწყვეტელი ყაყანი გაიბა. შეჯიბრებას ამა თუ იმ სასჯელის უკეთესობის დას. ბუთებაც მოჰყვა მეტი სახელეუბის წამომხებებით. ერთმანეთს ისიც გაახსენეს თუ ვინ ვის ცოლს სწყალობდა, ან ვისი ცოლი ვისა სწყალობდა.

საქმე გაშვავდა. მუშტები შემოიქნიეს და ჯოხები ამართეს.

— ხომ არ გინდა ე მე გოგრიდან შამანი გადმოგაღინო?

მსაჯულთა ბრძანებით დამნაშავეს თვალწინ შამფურები დაახურეს.

— არ გვეტყვი ნებით, ძალით გათქმევენებთ.

შამფურების რიგმა ადამიანის შიშველ ტანზე ზოლების რიგი გამოსახა. ჰეროსტრატოსის სახე სიმწარის ნაოჭებად დაულავდა: კენესა აღმოხდა.

მსაჯულთა ბრძანეს და შამფურები მოაშორეს.


— იტყვი თუ არა, რათ გადასწვი არტემისის ტაძარი, ქვეყნის თვალთ?

ჰეროსტრატოსმა ვაზხარულის ხმით ჩაიხარხარა.

შამფურები შიშველ ტანზე ისევ აშიშხინდნენ, მეორე რიგი ზოლებისა ვადავლეს. მეორე რიგს მესამე მოჰყვა, მერე მეოთხე, მეხუთეცა და დამნაშავეს მაინც ვერა ათქმევინეს რა.

მსაჯულთ წამება შეაჩერეს და დუმის მიეცნენ: ამოემა იგრძნეს.

ჰეროსტრატოსმა დაცინით გადახედა.



გზნაფი ქეთაისის მებარეშუმეობის სადღურში. პეკელის აკრეფა.

— აბა, ერთი მოდი! მოდი რაღა! ისეთი დაცხო რომა ფეხზე ვეღარ დადებ, შე კანკურა შენ!

ჯახანი გაისმა. ადამიანს გული შეუწუხდა და დაეცა.

— კაცი მოკლა, კაცი!

— მოკლა და ეგეც მოკვდება! უკან გაეყაულე!

ჩემი ძმის სიკვდილს განა შევარჩენ?

ჯოხმა მეორის თავზედაც დაიჯახუნა და მესამისაკენ გაინავარდა, მეოთხისამ აიკლინა და მეხუთისას კოპი დააჯდა. ჰეროსტრატოსი დააეწყვდათ. ნათესავი ნათესავს ეშველებოდა და ჯავრისა ყრილობდა.

ჰეროსტრატოსი კი ამ დროს ქალაქთა შეერთებულ სამსჯავროს წინ ეგდო ხელფეხ ვაკრული. პირმოღუშული, მდუმარე მერიდლურად იყურებოდა. მსაჯულნი ჰკითხავდნენ, პასუხს არ აძლევდა. დროდღრო მაგრა მოკრულ ტუჩებს სარკასტიული ღიმი უქვიავდა.

— მე კიდევ დაგამარცხებთ! მიჰმართა მისუსტებულის ხმით ეფესელთა წარმოზადგენლებს.

მსაჯულთ კრებული სმენად გადიქცა.

— მე კიდევ დაგამარცხებთ! — გაუმეორა ჰეროსტრატოსმა თვალში ამოღებულ წვერებს სამჯავროსას. — ეს ჩემი მეორე გამარჯვებაა თქვენზე, ეფესელებზე! ოოო, ძნელი ყოფილა უღვლებალქურვილის ბლაგვი გონების დამარცხება! მაგრამ მაინც ვეღარსე, ვერაფერი წამება ვერ გამომტებს, თუ ჩემი ნება არ მოისურვებს. ჩემი ნება ქედღურელობა!.. თქვენ მეკითხებოდით, მე პასუხს არ გაძლევდით, არ მეკითხებოთ და ნება ჩემი მიკარნახებს პასუხი მოვცეთ. ჩემი წუთები დათვლილია და ვეშურები...

— მინდოდა მეც შემემსო სამშობლო ქალაქი: ძალსა ეგრძნობდი. ეფესოს მრავალწინაგოვანი თვალთ დადამშვენებდი, მე სახელს მოგიპოვებდი უღვეშუქიანს... ოოო!

რომ იცოდეთ რა საზიზღრები ხართ მავ თქვენი უტვილო სიცილით! რომ იცოდეთ, თქვენი დღეში ღიშასაც არ მიიკარებდით ტურებზე!.. და, მე ვეძებდი სახელსაც, საუწყუნეების ბატონსა, შთანთქმულს!.. სამაგიეროდ ეფესოსაც მეტს შნოს შეეძენდი. მაგრამ, ვინ იცის, რამდენჯერ მიუღღებ ბოლო ჩემს მისწრაფებებს... ქალაქის ასულობით ნაგროვ მტკერში ჩაფლუნნი გზას არ მაძლევდით, კორიანტელთ სუნთქვას მიკრავდით და თვით თქვენს ქებულს ტაძარს არტემისის ფერს უკარავდით. გეუბნებთ გზას არ მაძლევდით, რომ ფართოდ გამეშალა ფრთები!.. ყველას არტემისის ტაძარი გეკერათ პირზე, სხვა დიადი რამ ვერ წარმოგედგინათ. თქვენი გონება შელოცვილივით ერის წვრტლის მისიერებოდა და ახალს ველარ ჰქმნიდა. მე კი ავეცილდი სულსმთნაგავს ჯადოს და მრავალი მშვენიერება დაეინახე. დაეინახე და მათი ხორცშესხმა მოვიწინაღინე. ჩემი გონება ვაფეთცივით ამუშავდა, ვქმნიდი დიად შენობებს აზრით, ვხაზავდი და გილდენდით. თქვენ სიცილად არა ვყოფილხართ. წარამარა არტემისის ტაძარზე მითითებდით, არა არის რა ვარეშე მისი მშვენიერებისაო, არტემისის ტაძარი ჩემს წინ ჩემ მშავეროდ აღიმართა, დიდებისაკენ არ მიშეებდა და შევიძულე. შევიძულე და გადავწყვიტე საშინელი შერი მეძია და ვიძიე კიდევ. ტაძარი მოესქდა და ამ მოსპობით თვით ტაძარსვე მოვაპოვებინე ჩემთვის სახელი მარადიული. ეს იყო ჩემი გამბარჯევა თქვენზედაც, დაობებულნი! გამბარჯევა პირველი და დიადი. თქვენ ხელს მიშლიდით, მაგრამ მე მაინც მივალწიე ჩემ საწადელსა. ჩემი სახელი ეხლა დროს ვარეშეა, უტრობელია... სხვასაც ვაფუხსენ გზა დიადი, სხვასაც!..

ჰეროსტრატოსი შეჩერდა, კუნთები მოუღუნდა და ისე ვააშტერა თვალები, თითქოს უკვე აჩრდილთა სამეფოსკენ ქნა პირით, გონება დაკარგულს დაემსავისა.

მსაჯულნი შეჩოქოლდენ, მითქმა-მოთქმა ვამართეს.

— რას იტყვი, თეოპომპოს?

— რასა და იმას, რომ სულთ ავადმყოფი ყოფილა. პატარა კაცუნა ვანდიდების სურვილით შერყეულა.

— არა! ეგ ტყუილია! აქ შერყევაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ჰეროსტრატოსს სრული ჭკუით უმოქმედნია. ეძებდა სახელს და მოიპოვა სახელი.

— მართალია, მართალი! აქ შერყევა უნდაგო. ჰეროსტრატოსს შეგნებულად უმოქმედნია ბოროტ საქმეში და სანამ სული პირში უდგა სიცილით უნდა დაისაჯოს.

— ე სიცილით ხომ თვითონაც მოკვდება ამისთანა წამების შემდეგ. უნდა დაისაჯოს ისე რომ სხვამ აღარ გაიმეოროს მაგისი საქმე.

— ეგ უკვე დასჯილია, მაგის სახელს ზიზღით იხსენიებს ჩვენი ხალხი და ზიზღითვე მოიხსენიებს კაცთა შთამომავლობა საუკუნეთა სარბიელზე.

— ეგ კრუ იმედია. ვინ იცის, კაცთა შთამომავლობა რას იტყვის მომავალში დროთა ტრილის ზეგაღვლით! უნდა დანაშაუვის სახელი გაუქმდეს მომავლისთვის: უნდა აიკრძალოს ჩვენში მაგის სახელის ვახსენება.

— მე ვიმეორებ მაინც, რომ ჰეროსტრატოსი ჭკუაშერყეულია, ან თუ არ არის უნდა ჭკუაშერყეულად გამოგაცხადოთ და შთამომავლობას ჭკუაშერყეულის ადამიანის ნამოქმედარად გადაეცემა არტემისის ტაძრის გადაწვა. აბა, მითხარით ვისთვის რა არის აქ სასახელი?


— მაგავს ვერავინ დაგეთანხმებთ, თეოპომპოს! უნდა აიკრძალოს აუცილებლად ჰეროსტრატოსის სახელის ვახსენება. გონზე მოვიყვანოთ თვით ჰეროსტრატოსიც და ვაუწყოთ ეს განაჩენი. დეე იკოდეს რომ მოკვდება და სახელი თანვე გააწყვება. ეს იქნებოდა დამნაშავესთვის დიდი სასჯელი, უძლიერესი თვით სიცილზედაც!..

მსაჯულთა კრებულმა განაჩენი გამოიტანა.

ჰეროსტრატოსმა თვალები აამოძრა და სიხარულის შემქმა გადაჰკრა.

— გონზე მოვიდა, გონზე! გამოუცხადოთ.

— ჰოი, ჰეროსტრატოს! შენ სრული ჭკუით ჩაიღინე ბოროტი საქმე და შენა სახელი აჩრდილთა სამეფოში თან გამოგვება, აეო სულ! სიცილით დაეჯიჯი ვინც



გონაფი ქუთაისის მებარეშუმეობის სადგურში, პარკების ჩაწობა არუბებში.



ამის შემდეგ სახელე ჰეროსტრატოსს გაიმეორებს და ან შენს ამავეტე ილაპარაკებს!

ჰეროსტრატოსს ბოროტმა ღიმივა ვალურბინა პირის ნაპოპზე.

— ჰოი, თეოპომოს! მე გონს ვიყავი და მესმოდა შენი სიტყვები... შენიც და სხვისიც... შენ შეურაცხე... არც კაცუნა ვარ, არც ჭკუთყრევეული... სიმართლის ძალთა ვადავინადონ სამივეირო... მსაჯულნი, თქვენ მართალი ხართ, დაიხ სრული ჭკუით გავანადგურე არტემისის დიდი ტაძარი. წამებმაჲც კი ვერ დაძვებანა ვერ წამართვა ჭკუა გონება... მე განაჩენი არ მადარდებს. არ გამეყება აზრდითლ სამეფოში ვავრი: ვერ ერთი თვით განაჩენი იმეორებს ჩემს სახელსა, მერე ხომ ხალხსაც უნდა ემცნოს დადგინილება ვასათობილბელად? მაუწყებელი ვაიმეორებს ჩემს სახელსა. მესამე კიდევ—მრავალთა ვული ჯიბე არის დაცხაბებული, საიდუმლოს ვერ შეინახავს და ჩემი სახელი საუკუნოვებს ვადავიბეჯებს და იბატონებს!.. იბატონებს!.. მე ვავიმარჯვე!.. ვავიმარჯვე!.. ჰოი, თეოპომოს! სრული ჭკუით ვადავებუჯე... გვანანდვურე...

ჰეროსტრატოსს ხმა წაერთვა და ახრიალდა. სიკვდილში ნადალს გვამს მახვლი დასცა.

მეორე დღეს ქუჩებში და ყველგან ეფესელები ერთმანეთს, პირზე ხელს აფარებდნენ, ერთმანეთს აფრთხილებდნენ ჩურჩულით: სუთ! სუთ! ხმა!.. ჰეროსტრატოსის სახელი არ ახსენით, და სახელი ჰეროსტრატოსი ჩურჩულით წამდაუწყებ მეთრდებოდა. სახლებში დღეები ბავშვებს აწინებდნენ საიდუმლო ხმით, გაჭმდით, თორემ ჰეროსტრატოსს მოგიტაცებთო.

VI

ხანმა გაიარა. მცირე აზიის სანაპიროების ქალაქებმა მოიწვიეს ხუროთ მოძღვარი დინოკრატოსი და არტემისის ძველი ტაძრის ნაშთებზე ახალს დაუწყეს აგება საერთო ხარჯით.

შენობა ნელ-ნელა იზრდებოდა. ხუროთ მოძღვრის თხოვნით ახლოს არაგის აკარებდნენ.

ეფესელები შორიდან უცქეროდნენ ტაძრის აშენებას და თავს აქნებდნენ, შევიდნენ არ იქნებო. ჰეროსტრატოსს გუნებაში წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ. ზოგი გუ-

ლის მოსაოხებლად თავის წყრომას ჰეროსტრატოსზე ურთიერთ შორისაც ამხელდნენ და არტემისის სავანის გამანადგურებელის სახელი არა ქრებოდა, საუკუნეებისათვის ინახებოდა.

დამთავრდა ტაძარი, ზემი მივარიან დამეს უნდა ვადავხანათ. ხალხმა მზიურე იწყო დენა ტაძრისაკენ. ჩაქრა მზის შუეი და ბინდ-ბუნდს არ დასცალდა რიგინად ქალაქზე ვალა: ცის კიდურზე მივარე ვადმოვდა პირბადრი და არემარეს შეტოსანი თვლი მოაპკრო. ახალ სამლოცველოს მუშებმა აქა-იქ დარჩენილი ხარაზოები ჩამოაშორეს. ხალხი მდუმარებით იცქირებოდა. მივარე ვადმოვიარა ცის კაბადონი და ტაძარს ზენიტდიან ჩამოხედა. ტაძარი აქა-იქ ვადმოკიდულ ჩრდილებით რიდე ვადახილ დედოფლათ ევლინებოდა მაყურებლოთ. ხალხი მდუმარებით ახალ შენობას ძველს ადარებდა. ტაძრის ნაკეთები რიგინად ვერ შეეგარნო და მსჯავრს ვერა სდებდა. ზემი ვეუვლილობდა.

ღამე ვატყდა. მივარე ზენიტს მოსცილდა, ცისკიდურის მერე მხარისაკენ ვადავეშა, უკანასკნელად ვადავლო თვლი ტაძარსა და ჩამოაღა. ღამის ბინდები ათამაშდნენ. ტაძარი ფანტასტიურ ლანდალ იქცა. ღამის მივევლი ნერვიულობამ შეიპყრო. წამდაუწყებ თვლები აღმოსავლეთზე უწერდებოდათ. ჰელიოსს მოელოდნენ. ეოსმა ვამოილიცა და ვარდისფერი სახე დაანახა ყველასა. ჰელიოსმა პრიონზე ეტლი აშაქანა და არტემისის ახალ სადგომს უხვად ვადმოაყარა ოქროსფერი თაიგულები. მარმაცილოები აელვარდნენ და ტაძარი ნათეოში ვაცხებია. თავისი სრული სახე ვამოიჩინა. თამამი ნაკეთები ზღაპარსა ჰქმნიდნენ. ახოვან სეეტებს ორმოცი წყროთის სიმაღლეზე ავზინათ თავისი ტვირთი და მედიდურობდნენ. ეფესელი ვული აუტოკდათ აღტაცებით და ამბაუროდნენ.

- ჰელიოსმა თავის დას ახალი სავანე მიულოცა.
- ჰელიოსმა ქება შეასხა ახალ შენებებს!
- ამბობდნენ აქეთ-იქიდან.
- ზემი ვაცხოველდა.
- ჰეროსტრატოსი მართალი ყოვილა! — ვაისმა უნებურად წამოსროლილი სიტყვები სეეტების ჯარის წინ და



აბრეშუმის პარკის ცენტრალური საწყობის მუშები სამტრედიანში „ეკავშირისა“.



ახლო მდგომით ყურები აცქვიტეს აკრძალული სახელის გაგონებაზე.

ატყდა მითქმა-მოთქმა.

— ვინ არის?

— ვინ ახსენა აკრძალული სახელი!

— ხომ არ გადარეულა?

— ციდან ხომ არ არის ჩამოეარდნილი! თუ სახელი

ახსენა, განა განაწენი კი არ ეცოდინებოდა?

— ვინ არის, ჰა? ვინ არის?

— აქაური არ უნდა იყოს.

— სახელი რომ სცოდნია!

— რა ახალგაზრდა!

— რა ლამაზია!

— ნამდვილი ჰელოსია!

— კითხრა უჭირავს ხელში, მგოსანი ყოფილა!

ჰო, მგოსანია! იცით რა მშვენიერი ლექსები მითხრა გუშინ გზაში? როგორ უკრავს ახლა კითარასა!

— რა დავაშავე?

— თქვენ ახსენეთ სახელი, რომლის გახსენებისათვის სიკვდილით ისჯებიან.

— რა სახელი?

— მე ამას ვერ ვიტყვი, აკრძალულია.

ორფელსმა თითზე იკბინა: გაახსენდა თავის მამის დღიურები. გაახსენდა თავიდან ბოლომდე იქ წაკითხული, ამბავი ჰეროსტრატოსზე და თავჩაქიდული გაჰყავა მოწესეს.

ბევრმა სიბრალულით გააყოლა თვალი ახალგაზრდას, ნეტავი რომელმა ბოროტმა სულმა ათქმევინაო. ბევრმა გულში ჰეროსტრატოსის მტკიცება—ლაპარაკი მოიგონა, არ არის მწვერვალი, არის გაუთავებელი სვლა ზევითკენ და გაუთავებელი გორება უფსკრულისაკენო. სიმახინჯეც და მშვენიეაც უსახურონი არიანო. დასტკბით უკვე შექმნილი მშვენიებით, მაგრამ თვალს კი ნუ დააბრმავებინებთ, ჯერ არ შექმნილი მშვენიეაც ეძიეთო



საქუჩაზე. ნახატი დ. ქუთათელაძის

— მერე და არ გამოჰკითხე ვინაობა?

— მაგისმა ხელოვნურმა მღერამ, დაკრამც ყველაფერი გადამაიწყებინა. სახელი კი ვიცო, შეხვედრისას მითხრა, ორფელსი მქვიანო.

— ყმაწვილო, ყმაწვილო! რა გაუფრთხილებლად მოიქეცი?

ახალგაზრდა მეკითარეს, არც კი მიუხედნია შეკითხვაზე, არტემისის ტაძარი მთლად დაჰპატრონებოდა მის გრძნობა-ვინებას, კითხრა ასწია, ხელი ჩამოჰკრა.

— უყურეთ, უყურეთ უნდა შეაქოს ტაძარი!

— ვაიმე! მოწესე მიუახლოვდა! დაიქურს.

— ნეტა ე საყოდავი რას მოდიოდა აქა?

— მთელი მიღეთის ხალხი აქ არის და ეგ რატომ

არ უნდა მოსულყო?

მოწესემ ახალგაზრდა მგოსანს ხელი წაავლო!

— ყმაწვილო, თქვენ შეპყრობილი ხართ!

მგოსანი შეკრთა.

მოაგონდათ ჰეროსტრატოსის გეგმებიც და ახალ ტაძართან მსგავსება ნახეს. დინოკრატოსსაც ჰეროსტრატოსის ნათქვამი ნაციები გამოეძენა შენობისათვის. მოაგონდათ ვაზიარეუბა ჰეროსტრატოსისა და ეჭვი შეეპარათ ჰეროსტრატოსის სახელის დასასჯელად გაიჭრნენი განაჩენის სრულ სამართლიანობაში, მაგრამ თავს ვინ გამოიდებდა? ვინ გამოეარსლეოდა ყმაწვილს მგოსანს, როცა ჯერ კიდევ ბევრს არ გადაჰრეცხოდა გონებდანი არტემისის ცეცხლ-წაქიდებულ ტაძარის სურათი?

VII.

ზეიმი გათავდა. ხალხი დაიშალა. სამსჯავრო ორფელს მგოსნის ვასამართლებას შეუღდა. დამნაშავეს მოსთხოვეს დაესახლებინა ვისი წყალობით გასცნობოდა ჰეროსტრატოსის ამბავს და სიცოცხლის ჩუქებას შეჰპირდენ.

— გვენანებო. ახალგაზრდა ხარ, თუ ვინმეს ხნიერს მკლდნეს ამბისას არ გადმოეცა, ან ვისიმე საიდუმლო ნაწერებიდან არ ამოგვეცხა, ისე არაფერი გეკლდინებოდა რაო.



ყმაწვილმა ცივი უარი სთქვა დასახელებაზე და სამს-
ჯაერომ სიკვდილით დასაჯა.

ევფესოს ახალი სალაპარაკო სავანი გაუჩნდა. ყოველს
უტხოვებს ქალაქ გარედვე ხედილობდა ახალგაზრდა მგონის
დასჯის ამავეი.

სალამო თავის ფენებს შლიდა, როცა ეფესოს მოხუ-
ცებული მოგზაური მიუახლოვდა. მოქანცული კისტრო-
სის ნაბიას მდგომს ქობთან მივიდა, წყალი მოითხოვა.
ქობის პატრონმა, ახალგაზრდა მეთევზემ, მგზავრს სთხოვა
კოტაოდენი შეეყენა და წყაროსაკენ გაექანა ცივი წყლის
მოსატანად. მოხუცებული ჩამოვდა, მძიმედ ამოიოხრა და
კისტროსს თვალი გაადევნა. მდინარის შუიოთემ აზრი
აუშობრავა, თავის თავს გულში გამოგებასა:

— შენი ცხოვრებაც მოუსვენარი იყო, თეოზომპოს!
ნეტაეი როდის ვადამიჭიარს სიკოცხლის ძაფსა პარკნი?..
ჯერ კი ნუ! ვნახო უკანასკნელად ჩემი ბიჭუნა და მერე...

— მოხუცო, წყალი მიირთვი! აი კოტაოდენი თევ-
ზიკ: მშვირი იქნები. ღვინოსაც მოგარაზიფიდი, მაგრამ არ-
ტემისის ტაძრის ზეიმობისს გამოვკალე მეგობრებთან...
რატო ავრ მოგვიანებით მოიხიარ? ერთი კვირით აღრე
ხომ ზეიმსაც დაესწრობოდი.

— მოხუცო, ვარ, შვილო! ზეიმობა ისე როდი და მი-
ზიდაეს. ტაძარს ხომ კიდევ უზეიმოდაც ვაგვინჯავ.

— მოხუცო, ისეთი ლამაზია, ისეთი ჩვენი ტაძარი,
რომ ძველი რა არის იმასთან!

— არა მგონია, შვილო!

— რატომ არ უნდა გეგონოს, მოხუცო? არტემისის
ახალი ტაძრის სილამაზემ ისე გაიტაცა ერთი ახალგაზრდა,
რომ თავი ვერ შეიკავა და აკრძალული სახელი ახსენა,
აი იმის სახელი, ძველი რომ ვადასწვა. მართალი ყოფი-
ლაო, სთქვა სხეგენებული იყო საწყალი. ნეტა ვისგან
ჰქონდა ვაგონილი იმ წყეულის სახელი? ვინ ასწავლა ის



საქ. კ. პარ. სამაზრო კომიტეტების ქალთა შორის მუშაობის განყოფილებების გამგეთა მესამე თათბირი 1923 წ.

საძაგელი მე დამემსგავსა დაუდგეგობით... ვინ იცის, სად
არ მივლია! ვინ იცის, რა არ მინახავს მე, თეოზომპოსს!
რას არ მოვსწრებოვიარ!.. საძაგელმა არ მომიცადა, ემანდ
არა შეემთხვეს რა... ნეტაეი დინკოატროსის აშენებული
ტაძარი რას წარმოადგენს? მიემსგავსება კოტათი მიინც
თუ არა არტემისის ძველ ღიად ტაძარსა?.. უბედური ჰე-
როსტრატოსი!.. ნეტა რა არის მისწრაფება სახელისაკენ,
რომ ზოგ ადამიანს ჰქუს ურყევს?! ჩემი შვილიც გამოე-
ქანა ზეიმისაკენ თავის გამოსაჩენად. მწამს, გაიმარჯვებდა
შეჯიბრებაში. სახელს მოიხიექდა! იმისი ლექსი ნაკადულ-
ია მოიუხსუნე, მომობიარე! იმის დაკვრა კითარაზე აპო-
ლონისებურია!.. ხმა მილიტინე, მორაკრაკე, გულში ჩამ-
წდომი!..

თეოზომპოსს ფიქრის ღენა შეუწყდა: შინ დაბრუნე-
ბულმა მეთევზემ მხარზე ხელი დაადო.

ამავეი? ტყუილად თავი დაიღუბა იმ უბედურმა.

— რა? სიკვდილით დასაჯეს?

— დასაჯეს მაშა! მსაჯულით უნდოდათ სიკოცხლე
ეჩუქებინათ, თუ იტყოდა ვისგან იცოდა ის ამავეი, მაგ-
რამ გაგიუტდა, არა სთქვა... რა ლამაზი იყო საკოდვი
მერე! ნამდვილი ჰელიოსი! კითარაც ეკირა ხელში. მეო-
სანიო, ამბობდენ.

თეოზომპოსი აცხცახებული ფეხზე წამოვიარდა,
— მითხარ ვინ იყო! მითხარ სახელი, მითხარ!

— რა მოგივიდა, მოხუცო? ფერი გეცვალა, წყალი
დალიე კიდევ!

— რა დროს წყალია? მითხარი ჩქარა, რა ერქვა!
— ორფესო.

— ორფესო!.. ორფესო!.. ვაი ჩემს თავსა, ვაი! ჩე-
მი შვილი, ჩემი ბიჭუნა დამიღუპნია!.. ჩემი დიღურის ვა-



დაწერის დროს ამოიკითხა... ხომ გაგატრთხილე?.. ჰოი!
ჰეროსტრატოს...

მეთევზემ პირზე ხელი დაადო.

— სუ! სუ, მოხუცო! გადაირიე თუ რა არის? რომ
გავიგონონ, ხომ სიკვდილი აღარ აცვდება?

— სიკვდილიო?! სიკვდილი ეხლა ჩემთვის მხოლოდ
შეებაა!.. ჰოი, ჰეროსტრატოს! თუ მე ქუთაშერყეულად გა-

მოვაცხადე, ჩემმა შვილმა რა დავიშავა? შური ჩემზე უნ-
და გეძია... ჰოი, პარკო, თვით მე ვადაქტი ეხლა ჩემი
სიკოცხლის ძაფსა.

თუოპოპოსი გაპოუთხოვა მეუვეხესა და კისტრო-
სის ნაპირს გა'ყვა სამუღამო საგანას მოსანახავად.

ირადიონ სონლული.

ნაწჷვეტი პოეზიდან „ღრუბელი ზარკაღში“.

უოქროპირესი

მე,

რომლის სიტყვა

სულს ქნის ხელახლად

სხეულს

უმართავს ახალ დღეობას,

ვამბობ,

სიციხელე მტვერსაც რომ ახლავს,

უფრო ფასდება,

ვიდრე ნაშრომი ჩემი

ვიდრე ჩემი მხნეობა.

სმენა!

გქადაგობ

ავარდნილი და უეცარი,

მე

ზარატუსტრა მოკივარი და დღევანდელი,

ჩენი სახეა

ნათრეველა როგორც ზეწარი,

ჩენი ტუჩები,

დაკიდულნი როგორც შანდალი.

ჩვენ,

კატარღელნი ახალ ქალაქ ლეპროზორიის

სადაც ოქროთი

და ტალახით

ეამი არის შემოტანილი,

უფრო სუფთა ვართ ვენეციის ზეცის ლავეარდის

მზითაც რომ არის

და ზღვებითაც გადაბანილი.

ფეხზე გვეკიდია,

ოვიდიუსს და ჰომეროსებს

თუ არ ჰყავთ ხალხი

დაქორფილი

ჩვენსავით კვამლით.

მე ვიცი მზეც კი შერქრდება, ვერ იფურსებს,

რომ დაინახოს

ჩვენს სულეებში

ოქროს ნადავლი.

ლოცვებზე უფრო მართალია

ჩენი ძარღვები

ჩენი კუნთები.

განა ჩვენ უნდა ვით მათხორცებმა

დროს მოწყალება ვთხოვით წუთებით?

ჩენია

ჩენი ყველა დღეები

და მარჯვენებში მარჯვედ გვიქირავს

ქვეყნიერების სადავეები.

და ქვეყნის კიდით,

როცა მოვა და ამაღლდება

ის,

და თქვენს სულში

აჯანყება დატრიალდება

მე საკუთარი სულს

გავთელავ ფეხით

რომ იქნეს იგი უფრო მეტი

და გულს სისხლიანს

როგორც დროშას მოვცემთ—

პოეტი.

ვ. მაიაკოვსკი





ანარი გარბიუსი.

საფრანგეთის რომანისტი — მწერლებს შორის ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებულ ალავს იჭერს ანარი გარბიუსი როგორც ომის ზედმიწევნით მცოდნე და სოციალური მწერალი.

გარბიუსი არ არის პოლიტიკური მოაზროვნე, იგი, გრძნობიარე, ენტუზიასტი და ზრევულო ტემპერამენტის აღამანია, „რომელიც ცეცხლის დამპარმაველებს ავარდნაში სჭერტეს სინამდვილეს“. გარბიუსი არ კმარა, მართო მიხედვით, იგი უნდა გაიფიქროს და განიცადოს ისინტენცია, რომელშიაც იცლებება მისი პერსონაჟი.

გარბიუსი რეალისტი. უყვარს აღწერის სიმარტივე; მაგრამ მას უყვარს სურათების სიცოცხლე, დინამიურობა და მდგომარეობების კატასტროფიული ცვალებადობა. გარბიუსი იმ ტენდენციისა, რომელიც აქვს საერთოდ ნახტვარის მას აქვს ტენდენცია აღწეროს განსაკუთრებული მომენტები ცხოვრებისა, ისეთი მომენტები, რომელშიაც აუცილებლად არის სოციალური მომენტები, მაგრამ სიძლიერე გარბიუსისა სწორედ იმაშია, რომ იგი ახერხებს დაძვაროს ეს ტენდენცია ძლიერი ნახტვრული მომენტებით, რითაც აღსავსეა მისი რომანები.

გარბიუსს არ უყვარს რომანის ინდივიდი გმირი, მისი გმირები კოლექტივია, კოლექტივი მუშებისა, კოლექტივი ჯარისკაცებისა, („ცეცხლში“) მას არ უყვარს მყერი-ალა მონოლოგები, მისი გმირები კინოსავით ცვალებადია, ისინი ერთი მეორეს ელაპარაკებიან. ვანკლა, შერგონოლა, შეგენბა, ბრძოლა ყველაფერი საერთოა. იგი ყოველმხრივია. არ იფიქვებს რომანს და სანტიმენტალობასაც (ლემი-

უზი) და ძლიერი ინტუიცია საშუალებას აძლევს გაეგრეკოს ძნელ სახელმწიფოებრივ — პოლიტიკურ საკითხებში რომელიც აბრანავება მის აზნანავებს.

გარბიუსის ნიჭი სწორედ ისე, როგორც მისი აზნანავების ომის პერიოდში იზრდება.

ძლიერია გარბიუსის ყველა რომანები და განსაკუთრებით „ცეცხლი“. ეს რომანი საუკეთესო კინენტატურათული ილუსტრაციაა ოთხ წლიან ტრაგედიისა და საზინელებს. ეს დღიურია იმ პატარა სამხედრო რაზმისა, რომლითაც დაიყო მთელი ევროპა ერთი მეორის წინააღმდეგ.

ასეთ გუნდში და ომის ცეცხლში ჩავარდა გარბიუსი, მან თითონ განიცადა მისი საზინელება და შეიგნო, რომ იმ „კაცობრიობის სენია“, რომ „საქიროა მოვსპოთ სული ომისა“, რომელსაც ბურჟუაზია ხელოვნურად იწყევს. ის დარწმუნდა ამაში. იგი შეიქნა საზინელი მტერი ომისა და ბურჟუაზიის, გარდა ამისა იგი არის ხელმძღვანელი იმ ორგანიზაციისა, რომელიც მიზნით ისახავს სამკოთა რესპუბლიკებთან დაახლოებას.

გადმოსვლა გარბიუსისა კომუნისტთა ბანაკში დიდი ისტორიული მოვლენაა, იგი მტყვევლია იმისა, რომ თვით ბურჟუაზიის ბანაკი იწყევს რღვევას, რომ ინტელიგენცია თანდათან მიდის რევოლუციასთან, რაიც აუცილებლად არსებულ კაპიტალისტური ქვეყნის აღსასრულს მოასწავებს.

პ. კ — ძე

ანარი გარბიუსი.

ც ე ც ხ ლ ი.

რომანი უქანსკელ მსოფლიო ომიდან.

(ფრანგულით).

თავი XXII.

გახიერება პარიზში.

გავყევიტ ჯერ რესპუბლიკის ბულვარს, მერე გამბეტას ხეივანს და იქიდან კიდევ ვაქრობის მოედანზე გამოვიდით. ჩვენის დაწმენდილ წაღების ლურსმნებს პარიზის ქუჩების ქვაფენილზე წყარუნე გააქვს. მშვენიერი დარია. ცხრათავალა მზე დაქათათებებს ქალაქს. თითქო სათბურის შუშებიდან გამოდის მისი სხივებიო, ნაურწყლები ასდის მაღალხეების დიდს შუშებს. ჩვენის სუფთათა გაწმენდილ ფარაჯების კალთები ჩამოშვებულია და რადგან ჩვეულებრივ აწულებიან გვაქვს ხოლმე, ეს ორი კვადრატო კალთა უფრო ლურჯია, ვიდრე დანარჩენი გახუნებული ნაწილი ფარაჯისა.

ჩვენის მოხეტიალე აზნანავების ჯგუფი ერთჟამს დალდა და ყოყმანი დაიწყო „საყოფო სუბ-პრეფექტურას“ წინ, ავგროფე ვრან კაფეს“ რომ ეძახიან.

— უჯვლება გვაქვს შივ შევიდეთ, — სთქვა ვოლპატამა.
— წვიდეს!.. ოფიცრებთთაა სისყე, — უთხრა ბლერ-

მა, რომელმაც ვაპირის ფარდას ზემოდან შეიხედა და სარკეში დინახა საყავოში მსხდომარე ხალხი.

— გიჯე დარ იყოს, — სთქვა პარილიზმა, — ჯერ კიდევ ბევრი რამ დაგვრია უნახავი.

ისევ შეუვლდეთი სიარულს. და უპარალო სალდათე-ბი, როგორიც ჩენა ვართ, ვათვლიერებთ მშვენიერ მაღალხეებს, მოედანს ვარშემო რომ არის, ტანისამოსის მაღალხეებს, ქალაღლის სავაქრო მაღალხეებს, ათეუკებს, ოქრო-ვერცხლულის ვიტრინებს, გენერლის მუნდირივით რომ ბრჭყვიანებს. სახეზე ღიმი დავეთამაშებს. საღამომდე საქმე არაფერი გვაქვს, თავისუფლები ვართ, ჩენნი თავისუფალი დრო იხე შევედომლა მოვიხმაროთ, როგორც ჩვენ გვიდა, დამშლელი არავინა გვაყავს. ნება-ნება, სეენს სევენებთ მივაზიჯებთ ფხებებს; ცარიელი ხელები ძირს ჩამოშვებულები გვაქვს, და იკინო სერონობენ: წინა და უქან ქანაობენ.

— კითხვა არ უნდა, კარგი რამ არის ეგ შევბუღება. — შენიშნა პარილიზმა. — დაილოცოს, ვინც ეს მოიგონა.



ჩვენს ველაშინ ვადაშლილი ქალაქი დიდ შთაბეჭდილებას ატოვებს. ვუკავშირდებით ცხოვრებას, მცხოვრებთ, ზურგს უკანის ცხოვრებას, რეალურს, ნამდვილს ცხოვრებას. ბრძოლის ველზე რო ვიყავით, რამდენჯერ გვიანტარია: ჩვენ „იქიდან“ ვინ გვაღიარებს აქამდე ჩამოსვლასა!

ვუყურებთ დართულ კაცებსა, ქალებსა, ბავშვებიან ცოლქმრებსა, ინგლისელ ოფიცრებსა, ავიატორებს, რომლებსაც შორიდანვე ეტყობათ კობტაობაზე და დაჯილდოების ნიშნებზე, ვინცა და რანიც არიან, ვხედავთ აგრეთვე სოლდატებს, ჩვენებ რომ დასერილობენ, ვახეხილ ტანისამოსიანები და ქარსაგან პირსახე დახვთილებით. ერთადერთი დამამწვენიელი ამათის ტანისამოსისა— რკინის ფირფიტა, რომელზედაც მათი სახელი და გვარია ამოკრილი. ფიზიკთა ფარჯაზე დაკარული და მზეზე ბრჭყვილებს. ფრთხილთა დადიან, თითქო ვრიდებთ, რომ გარშემო ყველა სუფთათა ჩაქუცა და არა ჰგვანან სანგრძობში მცხოვრებთა, ჯოჯოხეთურ ცხოვრებას რომ აწვევიან.

ხან ერთი და ხან მეორე წამოვიძახებთ, სოფელელებით, თითქო არაფერი გვენახოსო, ყველაურის ხამები ვიყოთ.

— ე რა მიღეთის ხალხი ირევა ამ დასაქვე ქალაქში! — ჰკვიროვს ტირეტი.

— ძალიან მდიდარი ქალაქი კი უნდა იყოს, აი! — იძახის ბლერი.

ერთმა მუშა ქალმა ჩავვიარა და ვეცყურებს. ეოლატმა ხელი წამკრა, კისერი წაიგრძელა და თვალებით კინიამ გადაჰყლაპა ქალი. მერე მოშორებით ორი ქალი მინიშნა, ჩვენჯერ რომ მიდიოდა. თვალები უბრწყინავს და აღნიშნავს, რომ ქალაქში ბევრი ქალი ყოფილაო.

— შენი გულისა, რა დუნდულუბია, და! — ვენაცვალ სულში..

მას წინათ, პარადის კარგახანს დასჭირდა თავისთავთან ბრძოლა, სანამ ვაპბედავდა და მიუახლოვებოდა ერთს ადგილს, სადაც ფაფუკათ იყო დაწყობილი ტკბილი ქაღები და სხვადასხვა ნამცხვრები. კრძალვით აიღო ერთი და შექაბა. ახლა ბლერი იციხეთ! პირდაპირ გაგვიკირა საქმე. წამდალწუმ შუა ტროტუარზე უნდა შევედგეთ და ვუქადავით, სანამ დაგვეწოდეს. მაღალის ვიტრინებში გამოლაგებულ საქონელზე თვალს რჩება. ხან მოქალაქე სათბურებს ათვალერებს, ხან ქულებს, ხან ყელსახევეებს ხან წითლათ მოიღვარე ტუფლებს. სანგრძობში რო ვიყავით, თვისის სიბინძურითა და ჩათლაობით პირველი ადგილი ამას ეკრია, აქ კი ყველაზე უკეთესათ ესაა მორთული; ვანსკუთრებით მას შემდეგ გამოიკვალა, რაც ახალი ყბები ჩაუსხეს. აქ სულ თავისუფლათ უჭირავს თავი.

— სრულებით გაემწევილდა, — იძახის მარტრო.
ერთბაშათ ერთს კბილებნაცინულ ქალს შევხებეთ; ძალზე იღიებოდა... ქულებს ქვემიდან თხელი შავი თმა ჩამოსჩქრიდა. სხვილ ნაკვთებიანი სახე ყვაილისაგან დაქენკილი აქვს, ჩოფურა იმ გათხუნულ სურათსა ჰკავს, ბაზრობებზე ბალაგანებისათვის რომ ჰხატავენ ხოლმე.
— რა ლამაზია! — იძახის ეოლატა.
მარტრო, ვისაც ქალმა გაულიმა, აღტაცებისაგან ხმს ვეღარ იღებს.

აი, რას განიციდინა სოლდატები, ერთბაშად მომზიბულე ქალაქში ვადმთკორცნილი! უფრო და უფრო სტკბებიან მისის ლამაზ და უღრესათ სუფთა ვარეგნობით. ისევე ვიღვს გემო მშვიდ და მყუდრო ცხოვრებისა, ხელახლა დაეძაბათ სურვილი სახლებში ადამიანურათ ყოფნისა და ბედნიერათ დროს ვატარებისა.

— ბოლოსა და ბოლოს, ჩემო ძმაო, ხუმრობა იქით იყოს და, შეიძლება, ჩვეც შევიწვიოთ ასეთს ცხოვრებას! ვი არა აქვს ჩემს თავს!

ამასობაში ერთ მაღაზიას წინ ხალხი მოკროვდა. შევერილ ტანისამოსით ვაპარს ხისა და ცვილის მანქანებისაგან სასაცილო რამ ჯგუფთ შეუთხზავს:

მიწველ მუყაროსა პატარა ჩქვები, თითქო აკვირების ფსკერიაო. გერმანელს ახალი სამხედრო ტანისამოსი აცვია და გულზედაც კარტონისაგან გამოკრილი რკინის ჯგირა უჭიკრა. დაიჩქარა და ხსი ხელფს ფრანგის ოჯიკრისაკენ იშვკრა. ფრანგის ოჯიკრის დაკულულებული პარიკი ბავშვის კეპის ბალიშსა ჰგავს. ოჯიკრის ლოკები გამობუშული აქვს, მსუქანი, ხოლო შუშის თვალები სრულებით განზე იქიბრება. ამ ორ არსებათა ახლოს სათამაშო თოჯი ძეგს. გრუპას ქვეშ ასე აწერია: „კარდო! *).
— აი, მეზიკი დაგთხლუმეთ მე ჯგ სულელ თაზე! — წამოიძახა ერთმა ჩვენთავანმა.

ეს ბავშვური ჯგუფი და თუ მოაგონებს ადამიანს, რომ სადღაც უშველებელი იმია ვახურებელი, მეტი არაფერი. ამის დანახაზე მხრები ავიჩქეთ და ბრაზი მოვივივია. რაც გვინახავს და რაც ვაგვიგონია, იმის შეურაცყოფათ მიგვიჩინა ყოველივე ეს. ტირეტმა შობლი შეიკრა და მხად არის ერთი თავისებურათ შეუჭრთობს. მაგრამ პროტესტის ხმა გრძელშივე ჩაიკლა, ამიტომ რომ ჩვენი აზროვნება სულ სხვა მხარესაკენ გაიტაცა მოულოდნელათ სანახაობის გამოცვლამ.

ჩავვიარა ერთმა მშენებრთ ჩაქმულმა ქალმა, მიაშრილვებს იხსურდა და შუე ვახასა და თან სურნელებსა ჰუენს გარემოს. დაინახა ჩვენი ჯგუფი, მოგვიახლოვდა და ხელთათმინი კაპონია ხელი ჯერ ვოლაპატ მიაკრა მაჯაზე და მერე პლერს დააღო მხარზე. ორნივე ერთბაშათ გაშვშუნ, ამ ჰაეროვან არსების მიკარებისაგან.

— ბატონებო, გეტყობათ, რომ ფრონტიდან მოსულელები ხართ და ერთი მითხარით, ვეთაყუთ, ყოველივე ხომ ასეთ სანგრძობში?

— ჰმ... დაახ... დაახ... — უბასუსხ დაბნეულებმა და თან ამ ქებთ ვახარებულბმა!

— ჰა, ხომ ხედავ? ესენი პირდაპირ სანგრებიან მოდიან! — იძახიან შვგროვილ ხალხში.

რუკა მარტოყანი დაგრჩით ტროტუარის სწორ ქვაზე, ვოლატმა და ჰლერმა ერთბანეთს გადახედეს და თავები ჩაიჭინეს.

— ბოლოს და ბოლოს, — ამბობს ეოლატა, — დაახლოვებით ასე იქაც...
ჰაი, ჰაი, რომ ასე.

და ამ დღეს ს პირველათ იყო, რომ უარყავით სიმართლე.

* * *
„მრეწველობის და ყვაილთა კავშიმ“ შევედიო. პარკეტის შუაზე დაფენილია მშენებერი ხალხიო.

*) ამხანაგო, ვერმანული გამოთქმით.



ბილიკის მსგავსათ. კედლებზე, პერს შეყენებულ სვეტებზე, დახლს გასწვრივ დახატულია იები, სულ დიდი ყაყაჩოები და ვარდები, ყვავილოვან კომპოსტოს სიმსხოები.
— რა საჭიროა, ფრანგებს გემოვნება გვაქვს!— სთქვა ტირიქმა.

— სწორედ რომ სახეიდრის მოთინებება უნდა ჰქონოდა ამის დახატავს,— შენიშნა პლენიმა, როცა ამ აპტრელეზულ მხატვრობას მიმოავლო თვალი.

— აქ, ძმაო, სმაც რომ არ გინდოდეს, ისე დაჯდომაც სასიამოვნოა!— დასძინა ვოლპატმა.

პარადიზი გვეუბნება, რომ კაფუებში სიარული ძალიან მიყვარდაო. კვირაობით ყოველთვის ასეთ ლამაზ კაფუებში და ხანდისხან უკეთესებშიაც შემოვდიოდით. მაგრამ მას აქეთ დიდიხანა და ვადაეჭვიე კიდევ კაფუებში სიარულსო. მერე ერთი პატარა მინანქრიანი ხელსაბანი გეიჩენა, გარშემო ყვავილებ დახატული და კედლებზე დაკიდებულსო.

— ახ ზელის დაბნაც შეიძლება.
ზრდილობიანათ ხელსაბანისაკენ გავემართინეთ, ვოლპატმა პარადისს ანიშნა, ონკანი მოუშვიო:

— აბა თუ ბიჭი ხარ, ერთი ეს სადუფებელი მანქანა აამუშავე.

უფლოთ უსმენენ, უფრო იმათკენ ცქვიტეს ყური და ვისდაუნებურათ გაიფხოვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ერთი ქალი და კაცი, ეს ლაპარაკი რომ ვაბდეს, ჩვენსკენ დაიხარნენ, იდაყუებით მაგიდის თეთრ მარმარლოს დაეყრდნენ და დაგვიწყეს გამოკითხვა:

— ძნელი საპუოფი უნდა იყოს სანერგებში, არა?

— 3მ... მაშა... არც თუ ადვილია...

— რა ფიზიკური და მორალური სიმტკიცე უნდა გქონდესთ, რომ გაუძლოთ! ღმერთმა კი შეგაძლენინოსთ. პირველათ გავიკვირდებოდათ, თორემ მერე და მერე ალბათ შეიჩვევოდით, განა?

— მაშა... ძალიანაც შევეჩვიეთ ხოლმე.

— მაინც საშინელი ცხოვრება უნდა გქონდესთ, დიდს ტანჯვას უნდა განიცდიდეთ,— ტიტინებს ქალი და თან ერთ დასურათებულ ყურნალსა ჰფურცლავს. ყურნალში განადგურებულ ადგილების სურათებია დახატული. ასეთი რამ როდი უნდა დაბეჭდონ ხოლმე, ადოლფ!.. სირცხვლია ამების დახატვა: სიბინძურე, ტიღები, საკატორლო საშუაო... გეტყობათ, ყოჩაღები ხართ. მაინც ალბათ უბედურებად მიგაჩნიათ თავი, თქვე საცოდავებო? ვოლპატი, რომელსაც ელაპარაკება ქალი, წამოკაზმ-



საბავშო სახლი კაშის სახელობაზე ზ. გორში, რომელიც გაიხსნა სამხარო ქალთა განსწავლელის ინიციატივით.

მერე ხუთნივე ზალაში შევიდით. უკვე სტუმრებით იყო გატყეპული და ერთ მაგიდას მოვუსხედით.

— მოდი, ხუთავერმუტა შევეუკეთოთ, პა, რას იტყვიით?..

— ჯანი ვავარდეს, რაც იქნება, იქნება, მოდი ისევ, დაეჭვიოთ,— იძახიან ამხანაგები.

მოქალაქენი თავიანთ ადგილებიდან წამოდგნენ და ჩვენს ახლო დასხდნენ.

— ადოლფ, შეხედე, ყველას სამხედრო ჯვარი მიუღია...

— ეტყობათ, ნამდვილი ფრონტზე მებრძოლები არიან!

ამხანაგებს მაგათი ნათქვამი ესმისთ. ერთმანეთს

ხლდა. ბარემ რცხენია იმ საშინელებისა დაჭუბუნდურებისა, თავი რომ ვანარიდა და მერე ისეც რომ უნდა დაუბრუნდეს. თავი დახარა და ტყუილები დაიწყა; შეიძლება არც კი აძლევდეს თავის თავს ანგარიშს იმისას, თუ რა ზომისაა მისი სიცრუე.

— არა, არც ისე უბედურები ვართ... როგორცა გგონიათ, იმდენათ საშინელი როდია!..

ქალიც ეთანხმება.

— შეც ვიცი,— ამბობს ქალი,— რომ ომში კარგიც ბევრი რამება, აი, მაგალითად, შეტევა. რა ემჯობინება მისს ყურებას, როცა ერთათ შეუტევეთ მტერს! ხომ? ამოდნა ხახო ზღვასებ რომ მოსკლებმა და თითქო დღობაში სადმე მიუხარისთ... ნალარას რომ დაკვარვენ და



დაიძახებენ: „იქ, მაღლა, ლენინის შეესავით!“ ან და სოლდატები რომ მიიწვიან და იძახიან: „გაუმარჯოს საფრანგეთს!“ ან იმათი ყურება, ვინც თანა ჰკედებიან და თანაც იტინიან, უხარისხ სიკვდილი... ეჰ, თქვენზე ჩვენ როდი გვცნა წილად ეს პატყვი: ჩემი ქმარი პრეფექტურაში მოხელეთაა და ახლა შეებულებაშია, ქარები აქვს და იმასა სწამლობს.

— ბარემ ძალიან გულით მინდოდა, სოლდათად ყუვილიყავე,— გვითხრა ქალის ქმარმა,— მაგრამ ბელი არა მაქვს: ჩემს უფროსს უჩემოთ ერის წუთს არ შეუძლია გასძლოს.

ხალხი მიდი-მოდი, ერთმანეთს ეჯავჯავრება, ერთიმეორეში ირევა. ლაქები დასრიალებენ და ხან ერთგან ჩამოურვივებენ, ხან მეორეგან კვანჩხებს, ბრჭყვილა სასმელებით სავსეს,— ზოგი მწვანეა, ზოგი წითელი და ღია-ყვითელფერისა... ისმის პარკეტის ქრიალი, ლაპარაკი მუღმივის მუშტრებისა, მაგიდის მარმარილოზე ჭიქებისა და დომინოს წყარუნის... დარბაზის სიღრმეში გააქვს ჯახუნის სპილოს ძვლის ბურთებს ბილიარდის მაგიდაზე; ბალიარდს გარშემო მყურებელთ მოუყრიათ თავი და ჩეულებრივ ოხუნჯობენ.

— ყველას თავისი ხელობა აქვს, ჩემო კარგო,— შიგ პირში ეუბნება ტირეტს მოპირდაპირე მაგიდიდან ერთი კაცი, ღაყაღა სახისა.— თქვენ გვირები ხართ! ჩვენ-კი აქ ქვეყნის ეკონომიურათ აყვავებს ხელი უნდა შევეწყუოთ. ისეც იგივე ბრძოლაა, როგორც თქვენი. მეც სასარგებლო ვარ. არ ვიტყვი, თქვენზე მეტად სასარგებლო ვიყევი, მაგრამ თქვენოდნათ-კი ვარ.

გუყურებ ტირეტს— ასეთი ენამოსწრებული ახანავი მწყობრში არ გვერია— სივარების ბოლოში თვალები გააუჭიტა და მიუხედავათ ამ ხმაურობისა მაინც გავიგონე მისი პასუხი, თავმდაბლათ რომ გასცა:

— მართალი ბრძანება... ყველას თავისი ხელობა აქვს.

*) საომარი სიმღერაა.

ჩუმით გავიპარენით.

„ყველითა კაფედან“ * * *
 „გვილია ერთმანეთთან, თითქო ლაპარაკი დაგვივიწყდაო. ერთგვარ უტყპიფილებამ მოიცვა და სახე დაუმბინჯა ჩემს ახანავებს. თითქო თავიანთს თავს აყვდრიან,— მშენებერი შემთხვევა გვეჩნდა ჩვენი მოვალეობა შეგვესრულებინა და ხელიდან კი გავუშვითო.“

— რა სისულელე არ დარომეს ამ ოხრებმა, ამათ! — ბუზღუნებს, როგორც არი, ტირეტი; რაც უფრო მარტოკანი ვრჩებით, უფრო და უფრო მოსდის გული.

— ერთი კარგათ უნდა გამოვბრუტუტულიყავით დღეს!... — უპასუხებს უქმებათ პარადიზო.

მიედივართ, მაგრამ კრინტი, არა ვძრავთ. ცოტა ხნის შემდეგ ისეც ტირეტმა დაიწყო.

— რა სალახანა ვინმე ყოფილან, თქვენი ჭირიმიო! იშკილი უნდა გაეკეთებინათ ჩვენთვის, მაგრამ ვერ მივართვი! თუ სადმე მეორეჯერ შემხდენ,— თანდათან ცხარობს ტირეტი,— მე ვიცი, რა პასუხიც ეკადრებათ. ისეთი კარგებისა მოუხსენო, შენი მოწონებულო!

— საღლა ენახათ კიდევ... — ეუბნება ბლერი.

— ამ რვა დღეში შეიძლება ჩავიღვრძეთ კიდევცა,— ამბობს ვილპატი.

მოედნის ნაპირთან ხალხი შემოგვცხდა. რივი ქალაქის გამგეობის შენობიდან გამოდიოდა, რივიც ისეთ შენობიდან, რომელსაც ფრონტონი და კოლონები ჰქონდა ტაძრის მსგავსათ. მოხელენი იყვნენ, კანცელიარებიდან გამოდიოდნენ. მოქალაქენი იყვნენ ყველა ჯურისა და ყველა ასაკისა; შიგ ერივნენ სახედრონიცა, ზოგი ხნიერი, ზოგიც ახალგაზნა. ახალგაზნებს შორიდან თითქმის ჩვენებ ეცვათ. მაგრამ ახლოდან კარგათ რომ დააკვირდებოდით, შეატყობდით, რომ სახმედრო ტანისამოსს ქვეშ იმალებოდა დუნესტრიო და სახედალოთ ყველა, ვინც ომს გაურბოდა და თავს არიდებდა.

გარეთ ქალები და ბავშვები ელოდებიან, ლამაზ საჩუქრებით. ვაჭრები დუქნებსა ჰყეტენ და კაყოფოლ-



ქ. ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც გაიხსნა სამაზრო ქალაქიდან განყოფილების ინიციატივით.



ნი არიან, რომ ამ დღეს კარგი ვაჭრობა ჰქონდათ, იმედი აქვსთ, ღმერთი მოწყალეა, ხვალაც ასევე ვივაჭრებთო. თელანი ნაყაჭის, მოგებას და სიამოვნებით უყურებენ სახეს დახსნი. ბედნიერი არიან იმიტომ, რომ თავის კეთილს, თავის ცოლშვილს შერჩნენ. ბედნიერებაა, მა რა არის, კაცს ძირს დახრის მეტი არა სჭირდება, რომ თავის ბავშვებს აკოცოს, მოუაღოს! ქუჩაზე ფანჩები აფხვება თუ არა, ყველა ეს მდიდრები, უფრო და უფრო რომ მდიდრდებიან, ყველა ეს დამწვევლებელი ხალხი, რომელიც დღით-დღე უფრო მშვიდდება და ღმერთს შესთხოვს, უმეტესი სიმდიდრე და უმეტესი კეთილდღეობა მოგვანიჭეო, ყველა ესენი, პირველი ვარსკვლავები ცაზე აციმციმდებდა თუ არა, გარეთ ქუჩაში გამოიშლებიან ხოლმე. მერე აუჩქარებელი შინა ბრუნდებიან, სადაც ყველაფერი აქვსთ, არაფერი აკლიათ, ან ჯაუგებში მიდიან, სადაც ყველაფერი მზა-მზარეულათ მოერთმევათ ხოლმე. ქალი და კაცი წყვილ-წყვილად—ახალგაზდა ქალები და კაცები, მოქალაქენი თუ სოლდათები, რომელთაც საყულობებზე მაისი დეზერტობობის მაჩვენებელი ნიშნები უყვითათ, ფანჩების სინათლეზე მიტყპრებიან თავიანთს მყუდრო ბუდეში, სადაც მოყლის დასვენება, აღერის.

ერთ სახლის დაბლა სართულში დავინახეთ, მოღებულ ფანჯარაზე ნიავი ბაბთის ფარდას ათამაშებდა და სუბუქ და ნახ პერანგს ასვავსებდა.

ხალხის მოძრაობა განხუდა გვეწედა, თითქო საბრალო უცხოელნი ყოფილიყავით ამ ხალხისათვის.

სიამაოს უმუხრით დაფარულ ქუჩებში დავეცხტებთო. ეს ქუჩებიც გაიორღენდა, თითქო ზეციდან აღმასიბი დაახნიოს. ამ ქვეყნის ნახვამ, ჩვენდა უნებურათ, თვალები ავავიხილა, წინ ვადგავიშალა დაიდა ქემშირბიტება ცხოვრებისა: დავავანხვა აღმანიშნა შორის არსებულთა განსხვავება; დავავანხვა, რომ აღმანიშნა შორის მდებარე უფსკრული უფრო ღრმაა, უფრო გაუვალი, ვიდრე განსხვავება ეროვნებათა შორის არსებული, დავავანხვა, თუ რა

მეაფიო და ნათელი განსხვავებაა ერთისა და იმავე ერის წევრთა შორის, იმათს შორის, ვინც შრომობენ და იტანჯებიან, და იმათს შორის, ვინც ამათის ნაფლართა და ნაწივე-ნადავითა სარგებლობენ; იმათს შორის, ვისაც მოსთხებენ—ყველაფერი შესწირიო და ვინც ნანსხებლობს მიტანეს ზვარაკად ყუილევე, რაც ვაწინან: მიელი თავისი ძალ-ღონე, მიელი თავისი თავი, და მათს შორის, ვინც ღიმილი მაის ლეშვებზე გადღის და განცხრობაშია.

ამ ხალხში შევლქვანდა მოსწინან აქა-იქ ძაძვიანი ქალები და ჩვენს გულს, ცოტათიც არი, ფხანენ; გარნა თინიერი ამ ქალებისა სხვებს საგლოვო არაფერი აქვსთ, არაჲედ დღესასწაულობენ დღესასწაულს დაუსრულებულს.

— მართალი ყოფილა, მხოლოდ ერთი ქვეყანა არა გვექონია, — საცარის ზედმიწევნითი ჯამი გაუყეთა ყოველსავე ნანახსა ვოლბატმა. — ორი ქვეყანაა, ძმავ, ჩვენი ქვეყანა ორ ერთმანეთისათვის უტოლ ქვეყანადაა დაყოფილი: წინ, სულ შორს ფრონტზე, ერთია, სადაც ყველაზე უბედურებს მოუყრია თავი, და მერე — უკან, აქ, სადაც, თუ სადმე ბედნიერი იყო, სულ ერთად შეკროვილა.

— რას იზამ?.. ოლბათ ესენი საჭირონი არიან .. ესენი საფუძვლიანი... მერე...

— ვიცო: მაგრამ რა? უნდა იყოს, ასეთი ბედნიერები ძალიან ბევრი არიან და თან მეტის-მეტად ბედნიერათაც ცხოვრობენ! მერე სულ ერთი და იგივენი არიან ბედნიერათო...

— რას იზამ! — სთქვა ტირეტმა.

— სულერთია! — დაუმატა ბლერმა და უფრო მოსჭრა ახრი.

— ამ ერთ კვირაში შეიძლება მტვრად გვაქციონ, — სთქვა დასასრულ ვოლბატმა.

— წაივლით თავებ ჩაქინდრულები.

თ. სახოკია.



სახსლის რკალბევი.

ისევ ფიქრები, მარად ღტოლივა უსრულებელი, ისევ ძიების ლაბირინტში იშლება ლანდი, როცა იელვებს ქარიშხალი დაწინდებითი გამიართება შეჯიბრება, ბრძოლა, ნვარდი.

